მესხეთის უნივერსიტეტი

№5-6 (274) მაისი-ივნისი, 2021 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

საერთაშორისო სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში

კონტაქტები ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან გრძელდება

ჯერ კიდევ 2001 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალსა და ყარსის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. უნდა აღინიშნოს, რომ მის საფუძველზე ახალციხის ფილიალის მაშინდელი ხელმძღვანელობა და აკადემიური პერსონალი გაეცნო ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის როგორც სხვა ფაკულტეტებს, ასევე, ვეტერინარიის ფაკულტეტს, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი ფაკულტეტი გახლავთ ყარსის უნივერსიტეტში. ის, როგორც ფაკულტეტი, ჯერ კიდევ 1982 წელს დაარსდა და ეკუთვნოდა ერზრუმის ათათურქის უნივერსიტეტს. სწორედ, ამ ფაკულტეტს დაეფუძნა შემდეგ ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის, როგორც დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჩამოყალიბება. ვეტერინარიის ფაკულტეტი იმ დონეზე განვითარდა, რომ თურქეთის ერთ-ერთ წამყვან, ევროკავშირის მიერ აღიარებულ ფაკულტეტად იქცა.

გაგრძელება მე-2 გვ.

30 ივნისს, შალვა ახალციხელის ხსენების დღე მრავალფეროვანი ღონისძიებით აღინიშნა. 2021 წლის ახალციხის საპატიო მოქალაქეებად დასახელდნენ: მეუფე საბა (გიგიბერია), ზაზა თამარაშვილი, ტიგრან მელქონიანი და ამირან გოგოლაძე.

ამირან გოგოლაძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტია, რომელსაც დიდი მიღწევები აქვს სპორტის სახეობაში – „ბრძოლა წესების გარეშე".

ღონისძიებაზე, ტრადიციულად, დაჯილდოვდნენ მერიის სტიპენდიანტებიც. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სტიპენდია უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებმა მიიღეს.

სტუდენტების პერსპექტივა პროფესიული განათლების და დასაქმების ეროვნულ სივრცეში

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საინტერესო სიახლეები პროფესიული განათლების მიმართულებით. თანმიმდევრულად და მიზნობრივად, ისე, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაშია გათვალისწინებული, ვახორციელებთ და ვდგამთ ნაბიჯებს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში პროფესიული განათლების გაძლიერებას ეხება. ამჯერად ვისაუბრებთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსის ირგვლივ, რომელიც ახალქალაქში მდებარეობს.

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, კორპუსის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სწრაფი ტემპებით ისე, როგორც კოვიდთან არსებული სიტუაცია გვაძლევს საშუალებას. კორპუსი რეაბილიტირდება კონკრეტული პროგრამების მიხედვით. შერჩეულია ათი პროგრამა, რომელიც უნდა ამოქმედდეს და განხორციელდეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში. ათი პროგრამიდან დღეისთვის ნაწილი ავტორიზებულია. გაგაცნობთ თითოეულ მათგანს.

გაგრძელება მე-5 გვ.

მოგონებები უნივერსიტეტზე

უნივერსიტეტი განსაკუთრებული ეოვლენა ახალციხეში

ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე

გვ.8

ზოთა წურწუმია
ჩვენი კურსდამთავრებული

„მამულო, შენს შვილებს გვჭირდები!"

გვ.8

...ქართველნო, არ გვშვენის,
ყორნები
ჩვენს ცაზე ასე რომ მოგროვდნენ...
ვიცხოვროთ იმგვარი
ცხოვრებით,
მამები როგორაც ცხოვრობდნენ!!!

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა"

გვ.10

საერთაშორისო სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში

კონტაქტები ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან გრძელდება

პირველი გვერდიდან

როდესაც გაჩნდა იდეა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ვეტერინარიის მიმართულების ჩამოყალიბებისა, იმ პერიოდიდან გააქტიურდა აღნიშნულ ვეტერინარიის ფაკულტეტთან თანამშრომლობის აზრი. ეს მოხერხდა კიდევაც. ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზაობა, დახმარებოდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს ვეტერინარიის მიმართულების გაძლიერების საქმეში.

შემდეგი ეტაპი იყო ის, რომ ორი უნივერსიტეტის მონაწილეობით, ჩატარებულიყო ერთობლივი სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინის თემაზე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იდეას სიმპოზიუმის ჩატარების შესახებ დადებითად გამოეხმაურა ყარსის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და მოხდა შეთანხმება, რომ ჩატარდებოდა სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში და ორივე მხრიდან წარმოდგენილი იქნებოდა 15-15 მოხსენება. სამუშაო ენა უნდა ყოფილიყო ქართული და თურქული. თურქეთის მხრიდან ჩართული იყო მხოლოდ ყარსის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტი, საქართველოს მხრიდან ჩართულები იყვნენ ვეტერინარები ქვეყნის მასშტაბით. განისაზღვრა, რომ სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ გამოიცემოდა სამეცნიერო შრომების კრებული. გამოცემას უზრუნველყოფდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შეთანხმებისამებრ, 1-2 ივლისს ჩატარდა სიმპოზიუმი, რომელშიც თურქეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო 13 მოხსენება, ხოლო საქართველოს მხრიდან – 16. სიმპოზიუმის მიმდინარეობის პერიოდში ხდებოდა მოხსენებების ორენოვანი თარგმანი, რომელიც უზრუნველყვეს პროფესორმა როინ ყავრელიშვილმა და ფილოლოგიის დოქტორმა, ასისტენტ-პროფესორმა მაია მესხიძემ.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს, სადაც ხაზგასმული იყო სამცხე-ჯავახეთში ვეტერინარიის სპეციალობის ამოქმედების აუცილებლობა და მეორეს მხრივ – ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის მზადყოფნა, რომ მხარს დაუჭერდა ამ იდეას და შეძლებდა დახმარებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: პირველი – სიმპოზიუმზე საინტერესო და მრავალპროფილიანი მოხსენებები იყო წაკითხული, თურქულმა მხარემ მოისმინა ქართველი მეცნიერების კვლევების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ქართველებმა – თურქი მეცნირების და გამოითქვა სურვილი, რომ ისინი ითანამშრომლებენ ვეტერინარიის მიმართულებით. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მზად არის, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, შექმნას ვეტერინარიის ფაკულტეტი და თურქულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ გაუწევს დახმარებას. რაში გამოიხატება ეს დახმარება? პირველ რიგში – სამხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნვერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის გამოყოფენ ადგილებს, სადაც ისინი შეძლებენ ისწავლონ როგორც ინტეგრირებულ, ასევე, სადოქტორო პროგრამაზე. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ვეტერინარიის სპეციალობის სტუდენტები ჩაერთვებიან გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. ამისათვის აუცილებელია, რომ ქართველმა სტუდენტებმა ისწავლონ თურქული ენა გარკვეულ დონეზე, ლექციების მოსმენა რომ შეძლონ. რომელი კურსიდან იქნება გაცვლითი პროგრამა ამოქმედებული, ამას თავად უნივერსიტეტები შეათანხმებენ.

უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის ხუთწლიანი მემორანდუმი. მის ფარგლებში, ორ ფაკულტეტს შორის, გაფორმდება სამუშაო ხელშეკრულება, სადაც სათითაოდ იქნება გაწერილი თანამშრომლობის ყველა ის პუნქტი, რაზედაც მოხდება შეთანხმება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეძლებენ, გაცვლითი პროგრამით ისარგებლონ და ყარსის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის კვლევით ლაბორატორიებში ჩაატარონ ერთობლივი კვლევა ან სხვა სახის სამუშაო.

ბუნებრივია, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმაც გამოთქვა მზადყოფნა, რომ ყოველნაირად შეუწყობს ხელს თანამშრომლობას და თუ სურვილი ექნებათ თურქ კოლეგებს, ისინი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტსა და, ასევე, საქართველოში არსებულ სხვა ლაბორატორიების ფარგლებში შეძლებენ, გარკვეული სამუშაოები ჩაატარონ ერთობლივად, რაც მათ აინტერესებთ.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ არის ორივე უნივერსიტეტის რექტორატის მზაობა – ხელი შეუწყონ ვეტერინარიის ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობას.

გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ სიმპოზიუმის მონაწილე მეცნიერთა მისასალმებელ სიტყვებს, რომელიც შთაბეჭდილებას მატებს ჩვენს მიერ ზემოთ თქმულს და ხაზს უსვამს სავეტერინარო მედიცინაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმის ისტორიულ მნიშვნელობას.

მაკა ბერიძე, ***სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:***

მივესალმებით თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს, სიმპოზიუმის გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს და სიმპოზიუმის მონაწილე პროფესორებს!

დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. გრძელდება წლების წინ

დაწყებული ურთიერთობები კავკასიის უნივერსიტეტთან, მაგრამ ახალ ამპლუაში – სავეტერინარო მედიცინის თემაზე გამართული სამეცნიერო ღონისძიებით.

ვეტერინარია ერთ-ერთი ტრადიციული საუნივერსიტეტო დარგია საქართველოში. გვყავს მაღალი რანგის პროფესიონალები და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესორები. მიუხედავად ამისა, ვეტერინარიის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება.

მივიღეთ პროგრამაზე პირველი სტუდენტები და აქტიურად ვმუშაობთ პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს სავეტერინარო მედიცინის საერთაშორისო დონეზე წარმოდგენას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიის უნივერსიტეტზე მხოლოდ ორი წლით ადრე შეიქმნა. გვსურს გავიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც კავკასიის უნივერსიტეტში ყალიბდებოდა ვეტერინარიის პროგრამა. მაშინ თურქი პროფესორები ეწვივნენ საქართველოს შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტს აზრის გაზიარებისა და გამოცდილების გაცნობისთვის, რასაც მოჰყვა საპასუხო ვიზიტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვეტერინარიის პროგრამა არ გვქონდა, ამ ურთიერთობებში ერთგვარი შუამავლის როლს ვასრულებდით და ერთმანეთს ვაკავშირებდით ყარსსა და თბილისს.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველომ რთული პერიოდი განვლო, მოხდა სერიოზული პოლიტიკური ძვრები, ჩამოვყალიბდით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ჩვენი პრობლემები და პერსპექტივები მოსკოვში აღარ წყდება. ის დროც უკან მოვიტოვეთ, როდესაც ვეებერთელა საბჭოთა სივრცეში ყველა უნივერსიტეტი ერთმანეთს ჰგავდა და თითქმის ერთმანეთის ასლი იყო. სახელმწიფოს მონოპოლიზებული ჰქონდა დარგები და სპეციალობები, რის გამოც ყველაფერი თავმოყრილი იყო თბილისში.

დღეს განსხვავებული ვითარებაა. უნივერსიტეტები ავტონომიურია და სწორედ ამ დამოუკიდებლობის შედეგია, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით თითოეული უნივერსიტეტი ირჩევს საკუთარ ნიშასა და პროფილს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ვეტერინარიის პროგრამა ამოქმედდა ახალციხეში.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ჩვენი ქვეყნების, საქართველოსა და თურქეთის სწორედ ეს ნაწილი, ყარსისა და ახალციხის მიდამოები მაღალმთიანია, მისი დიდი ნაწილი დაფარულია ალპური ზონით, რაც მესაქონლეობის განვითარებას დიდად უწყობს ხელს. ვეტერინარული მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელი პროდუქციის გარანტიას იძლევა.

ჩვენი დღევანდელი სიმპოზიუმი იმის საწინდარი იქნება, რომ მაღალმეცნიერულ დონეზე წარმართული ურთიერთობები დაგვეხმარება ჩვენს უნივერსიტეტშიც ისევე განვავითაროთ ვეტერინარია, როგორც ეს კავკასიის უნივერსიტეტშია. დიდი იმედი გვაქვს მეგობრების დახმარების. გვჯერა, რომ გაჩნდება სივრცე ერთობლივი პროექტების, ერთობლივი სამეცნიერო პროდუქციის შექმნის.

მადლობას მოვახსენებთ კავკასიის უნივერსიტეტს დღემდე გამოხატული მხარდაჭერისთვის, მადლობა რექტორს, ბატონ ჰუსნუ ქაფუს, ვეტერინარიის ფაკულტეტის დეკანს, ბატონ მეთე ჯიჰანს, სიმპოზიუმის მომზადებაში ჩართულ თითოეულ პირს.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ ბატონი ტოომას ტიირატის მიმართ. მისი კომპეტენტური, კვალიფიციური რეკომენდაციები და რჩევები ძალიან გვეხმარება პროგრამის განვითარებასა და დახვეწაში.

საამაყოა ჩვენთვის ბატონი ვასილ ბასილაძის აღიარება საერთაშორისო დონეზე, ვულოცავთ წარმატებებს და ვუსურვებთ წინსვლას.

წარმატებები მინდა ვუსურვო ვეტერინართა გუნდს ჩვენი უნივერსიტეტიდან დეკანის, პროფესორ ლევან მაკარაძის ხელმძღვანელობით.

ჩვენს დღევანდელ შეხვედრაში განსაკუთრებული როლი აქვს ორ ადამიანს – პროფესორ როინ ყავრელიშვილსა და ასისტენტ-პროფესორ მაია მესხიძეს. განსაკუთრებული მადლობა მათ.

ჰუსნუ ქაფუ, ***კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:***

მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკას, მივესალმები კონფერენციის მონაწილეებს. ნამდვილად ღირსშესანიშნავი დღე გახლავთ, რამდენადაც მნიშვნელოვანი საქმის დასაწყისს ჩაეყარა საფუძველი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი (როგორც უნივერსიტეტი) გაიხსნა 1992 წელს, ხოლო თვითონ ვეტერინარიის ფაკულტეტი მოქმედებს 1982 წლიდან. ვეტერინარიის ფაკულტეტი არის მთავარი ფაკულტეტი ჩვენი უნივერსიტეტისა და ცნობილი არის მთელი თურქეთის მასშტაბით.

მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს უნივერსიტეტს 20 ათასზე მეტი სტუდენტი ჰყავს, 2 ათასზე მეტი – აკადემიური და ტექნიკური პერსონალი, მთლიანობაში, დაახლოებით, 25 ათასი ადამიანი ეწევა თავის საქმიანობას. უნივერსიტეტის მთავარი მიზანი გახლავთ ზრუნვა ადამიანისა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე და სწორედ აქეთკენ არის მიმართული ჩვენი საქმიანობა. პანდემიამ სწორედ ეს დაადასტურა, თუ ადამიანისა და ცხოველთა ერთ სივრცეში ყოფნა რაოდენ მნიშვნელოვანი იყო...

ჩვენი უნივერსიტეტისა და ვეტერინარიის ფაკულტეტის მიზანი გახლავთ დაწყებული ურთიერთობის გაღრმავება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან – საქართველოსთან, ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, ასევე, თვითონ აზერბაიჯანთან, ირანთან. ამ მიმართულებით დაწყებულ სამუშაოს გავაგრძელებთ. იმედი მაქვს, რომ არსებული ურთიერთობები პანდემიის შემდეგ კვლავაც გაგრძელდება და ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ საქართველოსთან, რათა ერთად შევქმნათ ის ინფრასტრუქტურა, რომელიც დაეხმარება ვეტერინარიის განვითარებას. ჩვენ ვიცით, რაოდენ დიდი კულტურა აქვს საქართველოს, მნიშვნელოვანია მისი ხუთიათასწლოვანი ისტორია. ვფიქრობთ, რომ ქართველ კოლეგებთან ერთად, მუშაობის პერიოდში, ჩვენ შევისწავლით არსებულ საჭიროებებს, ხოლო ჩვენი მხრიდან შემოგთავაზებთ იმ

→

სიახლეებს, რაც თქვენთვის ძალიან საჭიროა და აუცილებელი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოთავაზებული პროგრამის მუშაობაში შეიძლება ჩაერთნენ ჩვენი კოლეგები საქართველოდან. ბუნებრივია, ჩვენ დავუჭერთ მხარს ასეთ ურთიერთობას.

მოგეხსენებათ, ჩვენს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. უნდა გითხრათ, რომ ახალ სასწავლო წელს ხელახლა მივიღებთ 20 სტუდენტს ამ განყოფილებაზე, გავაღრმავებთ ურთიერთობას საქართველოსთან, რათა საშუალება მივცეთ ჩვენი განყოფილების გაფართოებას. ქართულის მიმართ დიდია ინტერესი ჩვენს ქვეყანაში, თურქეთის ბევრი მოქალაქე ფლობს ქართულ ენას. მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მზად გახლავართ თანამშრომლობისთვის.

ტოუმას ტიირატსი, ***ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინისა და ცხოველთა მეცნიერებების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი:***

ძვირფასო რექტორებო, ძვირფასო კოლეგებო. ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, გულთბილად მივესალმო პროფესორ მაკა ბერიძეს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ჰუსნუ ქაფუს, კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს და საერთაშორისო სიმპოზიუმის ყველა ორგანიზატორს, რომელთა წვლილით და დიდი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ამ ღონისძიების ჩატარება. მე ნამდვილად მჯერა, რომ ორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ასეთი სიმპოზიუმი მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს და ეს არის ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი რეგიონში.

საზოგადოების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვეტერინარული მომსახურების ხარისხზე, რომელიც მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, დაწყებული ჯანმრთელი, დაავადებული და დაშავებული ცხოველების მოვლიდან, დამთავრებული უამრავი მომსახურების საჭიროებით, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების გადაჭრას და ცხოველისა და ადამიანის ეკოსისტემის გაჯანსაღებას.

ვეტერინარები მზადდებიან არა მხოლოდ სავეტერინარო მედიცინაში, რაც გულისხმობს დაავადების დიაგნოზსა და მკურნალობას, არამედ მათ კარიერის გაგრძელება შეუძლიათ რამდენიმე სფეროში, კერძოდ – სურსათის უვნებლობის, ბიოუსაფრთხოების, ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ფარმაცევტული ინდუსტრიის, ბაზარზე წვდომის, ვეტერინარული და ბიოსამედიცინო კვლევების, სამთავრობო სამსახურის მიმართულებითაც.

საქართველო მოითხოვს გარკვეული ქმედებების განხორციელებას, რაც ვეტერინარულ პროფესიას აამაღლებს. ქვეყანას სჭირდება სპეციალური ვეტერინარული სასწავლო ცენტრი, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაციის და ევროკავშირის მიერ განსაზღვრულს. ასეთი სასწავლო ცენტრები უზრუნველყოფს ვეტერინარების სათანადო მომზადებას საწყის დონეზე ვეტერინარულ ეროვნულ სამსახურებში მუშაობისთვის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში).

მაღალი ხარისხის ვეტერინარულ განათლებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ეფექტური ვეტერინარული ეროვნული მომსახურებებისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამჟამად ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტია საქართველოში, რომელსაც შეუძლია, ეგრეთ წოდებული, „გრძელი ციკლის" ინტეგრირებული სამაგისტრო სასწავლო პროგრამის შემოთავაზება ვეტერინარიაში.

პროგრამამ მიიღო საწყისი აკრედიტაცია, რაც უდავო წარმატებაა მასზე მომუშავე მასწავლებელთა გუნდისა და სამეცნიერო პერსონალისა, რომელსაც უძღვება პროფესორი ლევან მაკარაძე, პროგრამის გამოცდილი მენეჯერი, რომელიც ახლა დანიშნულია ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად.

ვეტერინარული მედიცინა იყო პირველი და დღესაც რჩება რეგულირებადი პროფესიების ერთადერთ განყოფილებად ევროპული ხარისხის შეფასებისა და აკრედიტაციის პროგრამით, რომელსაც 20 წელზე მეტია, მართავს ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაცია, ამჟამად კი უკვე – ევროპის ვეტერინართა ფედერაციასთან ერთად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სავეტერინარო მედიცინის ეს ახლად შემუშავებული პროგრამა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, განაგრძობს განახლებას და მოხდება სწავლა/სწავლების გარემოს, მათ შორის კლინიკური აღჭურვილობის მოდერნიზება. ეს ნამდვილად გამოწვევაა უნივერსიტეტისთვის – ახალი ვეტერინარული პროგრამის პირველ კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის და, რაც მთავარია, მისი აკადემიური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი საერთო ძირითადი მიზანი არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტეგრირება ევროპულ ვეტერინარულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემაში .

მიმდინარე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ტარდება ორი გამორჩეული უნივერსიტეტის ინიციატივით, წარმოადგენს წარმატებულ ნაბიჯს კავკასიის რეგიონში სამომავლო ნაყოფიერი თანამშრომლობისკენ. სიმპოზიუმის თემები საინტერესოა და ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ გავეცანი ორივე უნივერსიტეტის აკადემიკოსებისა და პროფესურის მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებს. ასეთი სიმპოზიუმები ხელს უწყობენ კვლევის ხარისხისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას. პარტნიორული ურთიერთობის დამყარება და გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმის შემუშავება სასარგებლო იქნება ორივე უნივერსიტეტისთვის.

საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ვეტერინარიის მთელი სექტორის, განსაკუთრებით, ვეტერინარული პროფესიის რეფორმირებისთვის. ვეტერინარული მედიცინა გახდა რეგულირებული პროფესია და სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო შესაბამისი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის შემოთავაზება. ვინაიდან ვეტერინარიას ყველა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ეროვნული ვეტერინარული ფაკულტეტის შენარჩუნება აუცილებელია საქართველოსთვის. მოხარული ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწრაფი პროგრესით განვითარების ვეტერინარული პროგრამის წამოწყებაში.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ შემოღებულ იქნა მთავრობის მიერ დაფინანსებული სასწავლო პროგრამა ვეტერინარიაში, რომელიც შეიქმნა ევროკავშირში უმაღლესი ვეტერინარული განათლების ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად.

მე ვთვლი, რომ მოტივირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობა გამოიწვევს საქართველოში ვეტერინარული კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებას. შემდგომი ფინანსური, ტექნიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა აუცილებელი იქნება, რათა მოხდეს ვეტერინარული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შესაბამისად მომზადება, განსაკუთრებით ცხოველთა მომშენებლობის სექტორისთვის. რომი არ აშენებულა ერთ დღეში, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეძლებთ, მიაღწიოთ ყველაფერს, რისი მიღწევაც გსურთ.

ძვირფასო კოლეგებო, ჩვენ ყველა ვაანალიზებთ, რომ გრძელი გზაა გასავლელი, საქართველოში მყარად რომ მოიკიდოს ფეხი სავეტერინარო მედიცინამ, როგორც ნამდვილმა სამედიცინო პროფესიამ. ვეტერინარიის ახალ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც დააკმაყოფილებს კვების სექტორისა და საზოგადოების საჭიროებებს, გარანტირებული იქნება ცხოველთა ჯანმრთელობის სექტორთან დაკავშირებული რეფორმების მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირისა და საქართველოს დაახლოების პროცესში.

ვეტერინარული მედიცინის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის განვითარება თურქეთის ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან, როგორც ახლო მეზობელთან, სტრატეგიულად აუცილებელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. ის ფაქტი, რომ ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტი ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია, იგი მნიშვნელოვან პარტნიორად აქცევს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ამჟამად ახორციელებს ახალ, მაღალი ხარისხის ვეტერინარული სასწავლო პროგრამის შემუშავებას.

საქართველომ უნდა გააგრძელოს რეფორმების ფარგლებში წინსვლა ვეტერინარიის მიმართულებით. შესაბამისი პროგრამების საჯარო დაფინანსების ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ამ რეფორმების დაჩქარებასა და მიღწეულის სტაბილურობის უზრუნველყოფას.

მყარი, კარგად დაგეგმილი ვეტერინარული სასწავლო პროგრამა, რომელიც შერწყმულია მაღალხარისხიან სწავლებასთან და კარგად სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოსთან, წარმატების საწინდარია. მოუთმენლად ველი ვეტერინარული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ცერემონიაზე დასწრებას ახალციხეში, რამდენიმე წელიწადში.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და წარმატებას სიმპოზიუმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

ვასილ ბასილაძე, ***გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე , მთავარი ვეტერინარი ოფიცერი:***

მაქვს პატივი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს სახელით, მივესალმო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს და თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ჰუსნუ ქაფუს, სიმპოზიუმის ორგანიზატორებს და მონაწილეებს, რომლებმაც შეძლეს, წარმატებით განეხორციელებინათ საერთაშორისო სიმპოზიუმთან დაკავშირებული მოთხოვნები. ჩვენ განსაკუთრებულად ვაფასებთ ორ მნიშვნელოვან უნივერსიტეტს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, როგორც სამეცნიერო, ასევე, აკადემიურ სფეროში და ვიმედოვნებთ, რომ შედეგი აუცილებლად აისახება კვალიფიციური, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებაში და ვეტერინარიის დარგის განვითარებაში.

საქართველო დღეს ადგას მნიშვნელოვანი რეფორმების გზას. რეფორმებმა და გარდაქმნებმა განსაკუთრებული გასაქანი ჰპოვა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ, საქართველოში განუხრელად მიმდინარეობს ვეტერინარიის სფეროს რეფორმირება, მისი დაახლოება ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან, ასევე, ასოცირების შეთანხმებამ დადებითი როლი შეასრულა ვეტერინარიის სფეროს რეფორმირების გრძელვადიანი ხედვისა და კონკრეტული გეგმის ჩამოყალიბებაში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისაკენ, მისი ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოებისა და თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური რეგულირების სისტემის შექმნისაკენ. მიმდინარე საქმიანობა გვაძლევს იმის გარანტიას, რომ წარმატებები მიღწევადია, ვინაიდან ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმები არის თანმიმდევრული, მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული და მეტი სახელმწიფო რესურსი იქნება მიმართული რეფორმების დაჩქარებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის.

მიგვაჩნია, რომ ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობით მიმდინარე საერთაშორისო სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში ვეტერინარიაში რეფორმების განხორციელების ერთ-ერთი ნაწილია და იგი მიმართულია ახალგაზრდა კვალიფიციური, პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მოზიდვის, მათი პროფესიული დონის განვითარების, განათლების ინტერნაციონალიზაციის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისაკენ. მთლიანობაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გააქტიურება-გაუმჯობესება, მისი თანმიმდევრულად განხორციელება უზრუნველყოფს სტუდენტებში, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას და მიმართულია მეცნიერული პოტენციალის ამაღლებისა და საიმედო ახალგაზრდა კადრების მომზადებისაკენ.

საქართველოში ვეტერინარიის დარგი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, დარგის წარმატების განვითარება ქვეყნის წინსვლის გარანტიაა, ვინაიდან, ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობა ურთიერთდამოკიდებულია და, თავის მხრივ, ეკოსისტემების სიჯანსაღეს უკავშირდება. ეს, თითქოსდა, მარტივი მიდგომა, თანამედროვე ვეტერინარიის მთავარ გამოწვევას წარმოად-

გაგრძელება მე-4 გვ.

საერთაშორისო სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში

კონტაქტები ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან გრძელდება

მე-3 გვერდიდან

გენს და მის დაძლევაზეა დამოკიდებული როგორც ცხოველების, ისე ადამიანების ჯანმრთელობა მთელ მსოფლიოში. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) მნიშვნელოვანი მოწოდება „დავიცვათ ცხოველები, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი მომავალი“. ეს მოწოდება საქართველოში განხორციელებადია, თუ ქვეყანას ეყოლება კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ვეტერინარი სპეციალისტები, ხოლო ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს მეტი სახელმწიფო რესურსის მიმართვას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად ამოქმედებული ვეტერინარიის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და ჩვენ აუცილებლად კვალიფიციურად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით უნივერსიტეტის რექტორთან, ქალბატონ მაკა ბერიძესთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორ ლევან მაკარაძესთან, რომელმაც შრომატევადი სამუშაო გასწია პროგრამის წარმატებული აკრედიტაციისთვის და დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ვეტერინარული განათლების განვითარებაში და რეფორმების გატარებაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბატონი ლევან მაკარაძე არჩეულია ფაკულტეტის დეკანად.

დღეს საქართველოში ყველა თანხმდება იმაზე, რომ ხელისუფლების მიდგომა ვეტერინარიის მიმართ სულ უფრო და უფრო უმჯობესდება, ვეტერინარიაში რეფორმები ღებულობს შეუქცევად ხასიათს, რაც მიმართულია იქითკენ, რომ პროფესია გახდეს უფრო მიმზიდველი, უნივერსიტეტი ცნობადი და საქართველო მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკას ვეტერინარიის სფეროში.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოწვევისთვის და წარმატებები მინდა ვუსურვო ორი მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას სამეცნიერო და აკადემიურ სფეროში. გვჯერა, რომ შეხვედრები წინ გადადგმული ნაბიჯია მეგობარი ქვეყნების – თურქეთისა და საქართველოს კიდევ უფრო დაახლოების, რეგიონში საერთაშორისო ურთიერთობების წინსვლისა და განმტკიცებისათვის.

მერაბ ბერიძე, *სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი:*

მოგესალმებით. მივესალმები რექტორებს, მივესალმები

კონფერენციის მონაწილეებს, მივესალმები სტუმრებს.

ურთიერთობა ყარსსა და ახალციხეს შორის საკმაოდ ტრადიციულია. ამ ყველაფრის მონაწილეთაგან სამი ადგილზე ვართ – მე, როინ ყავრელიშვილი და მაია მესხიძე. ასე რომ, ჩვენ ტრადიციულად ვაგრძელებთ საქმეს, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში დავიწყეთ. შეიძლება ერთი კარგი წიგნი დაიწეროს ამ გახსენებებით, შეიძლება სამომავლოდ ბევრი რამ დაიგეგმოს, შემუშავდეს იმიტომ, რომ ის, რაც იყო, საფუძველია ყოველთვის სამომავლო საქმიანობისა.

მინდა, მოკლედ რამდენიმე მომენტს შევეხო. პირველი: მე გავიხსენებ ყარსისა და ახალციხის საერთო მაშინდელ დევიზს – მეზობელს მეზობლის ნაცარიც სჭირდებაო. ასე მოვყვებით იქიდან. ასე რომ, მე მიხარია, ყარსის უნივერსიტეტში ქართულის განყოფილება რომ გაიხსნა. მინდა, მოგილოცოთ. ვიცი, რომ ამას უკვე გარკვეული ისტორია აქვს.

ამასთან ერთად, მინდა გავიხსენო 90-იანი წლები, როდესაც დიდი კონკურსი იყო თურქული ენის განყოფილებაზე ჩვენს უნივერსიტეტში, როდესაც ჩვენ გავხსენით ეს მიმართულება, რასაც შემდეგ მოჰყვა თურქული ენის კაბინეტის გახსნა ჩვენთან. ამაში გვეხმარებოდნენ მეზობლები, არა მარტო ყარსი. მე მახსენდება მაშინდელი ფოსოფის გამგებელი როგორი ენთუზიაზმით მუშაობდა ამ საქმეზე. ეს იყო, მართლაც, მეგობრების, ახლობლების შემართული მუშაობა, რომ ერთობლივად დაწყებული საქმე კარგად წარმართულიყო, ყველაფერს შედეგი ჰქონოდა.

2000 წელს დავდეთ სამმხრივი ხელშეკრულება – ყარსი, ახალციხე, თბილისი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ ჩავატარეთ ორი სერიოზული სიმპოზიუმი, ერთი ყარსში, მეორე ახალციხეში (ახალციხის ნაცვლად აბასთუმანი იყო). სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ერთ მომენტსაც გავუსვამ ხაზს და ამით დავამთავრებ. კერძოდ, ჩვენი ურთიერთობის დამსახურებად მიმაჩნია ორენოვანი კრებულის გამოცემა, რომელიც 2001 წელს მოხდა და საერთოდ, სამეცნიერო პროდუქციის ორენოვნება – ეს იყო ჩვენი მიზანი მაშინ და ეს ძალიან საინტერესოდ მეჩვენება.

სულ ახლახან, თურქეთის საისტორიო საზოგადოებასთან ერთად, ჩავატარეთ საერთაშორისო სემინარი და ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა ისტორიკოსების დონეზე. ვფიქრობ, რომ ტრადიცია, ჯაჭვი გრძელდება და დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც სწორედ ამ ყველაფრის შესანიშნავი გაგრძელებაა.

მადლობას მოგახსენებთ, რომ მომეცა საშუალება მისალმებისათვის. წარმატებას ვუსურვებ სიმპოზიუმს. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი დღე კიდევ ერთ სერიოზულ, მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმეს ჩაუყრის საფუძველს.

ენგინ ძილიჩი, *კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი:*

მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ქალბატონ მაკას, მივესალმები კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს, სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთობლივი სიმპოზიუმი წარმატებით იმუშავებს.

ბატონმა რექტორმა და ქართულმა მხარემ ბრძანა, რომ მეზობელს მეზობლის ნაცარიც სჭირდებაო. მე ამას დავამატებ და, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება – ის, რაც მეზობელთან იხარშება, ალბათ, ჩვენც შეგვხვდებაო, – ასეთი ანდაზაა. ჩვენ ერთმანეთი უნდა შევავსოთ. სწორედ ამიტომ ერთად უნდა ვიმუშაოთ.

მინდა გითხრათ, რომ კავკასიის ვეტერინარიის ფაკულტეტმა ვიცით ჩვენი დადებითი მხარეები. ჩვენ გვყავს წარმატებული აკადემიური პერსონალი, რომელიც წარმატებით მუშაობს. ჩვენ, ასევე, გვაქვს სივრცე, სადაც გვეძლევა საშუალება, ვეტერინალური მედიცინის მიმართულებით ჩავატაროთ კვლევები. ეს მოგვცემს საშუალებას, ერთად ჩავატაროთ მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაოები.

როდესაც ყარსში დაარსდა ვეტერინარიის ფაკულტეტი, მაშინ პირველი დეკანი ცდილობდა, დასავლეთ თურქეთში არსებული წარმატებული ვეტერინარული ფაკულტეტებიდან აქეთ გადმოეყვანა აკადემიური პერსონალი. იმ პერიოდიდან დაწყებული სწორედ იმ აკადემიურმა პერსონალმა შეძლო წარმატებით სწავლება და ახლა აქაური წარმატებული კურსდამთავრებულები აგრძელებენ საქმეს. სწორედ ეს სტუდენტები გახდნენ დღეს ჩვენი აკადემიური პერსონალი.

მინდა შემოგთავაზოთ შემდეგი. რადგან თქვენთან იგეგმება ახალი ვეტერინარული ფაკულტეტის ჩამოყალიბება, იქნებ გამოვიყენოთ ჩვენი ფაკულტეტის ჩამოყალიბების პროცესის მაგალითები. ჩვენ შეგვიძლია, შემოგთავაზოთ შემდეგი – სწავლების პროგრამაში სპეციალურად გამოვყოთ ადგილები თქვენი სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩვენთან ჩამოვლენ და ისწავლიან სამედიცინო ვეტერინარიას. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ძირითადი ბირთვი, აკადემიური ბირთვი, რომელიც შემდეგ გააგრძელებს ვეტერინარიის ტრადიციას უკვე თქვენს ქალაქში და თქვენს უნივერსიტეტში. ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, გავცვალოთ აკადემიური პერსონალი, თქვენები ჩამოვლენ ჩვენთან, ჩვენები – თქვენთან და ამ მიმართულებითაც წარმატებით ვიმუშაოთ. კოვიდმა, რა თქმა უნდა, ხელი შეგვიშალა, მაგრამ ონლაინ რეჟიმში მოვახერხეთ მუშაობა. ვფიქრობ, შემდეგი პერიოდი იქნება პირისპირ მუშაობის პერიოდი, რასაც ასევე წარმატებით დავძლევთ. დარწმუნებული ვარ, თქვენ გაგვიზიარებთ თქვენს წარმატებულ მხარეებს და ერთობლივად, ჩვენს დეკანთან და რექტორის მოადგილეებთან, ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგესთან ერთად, დავგეგმავთ ჩვენს მომავალ ურთიერთობას. ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, დელეგაციები რომ გავცვალოთ და უკვე დავიწყოთ პრაქტიკული თანამშრომლობა. მზად ვართ, შევასრულოთ ყველა სამუშაო ამ მიმართულებით. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, რომ მომეცა საშუალება სიმპოზიუმში ჩართვის და მისალმებისთვის. წარმატებებს გისურვებთ.

მეთე ჯიჰანი, *კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:*

მივესალმები უნივერსიტეტების რექტორებს, სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს. ვფიქრობ, რომ წარმატებული სიმპოზიუმი გვექნება. რექტორმა და მისმა მოადგილემ ისაუბრეს ჩვენს ფაკულტეტთან დაკავშირებით, თუმცა, მე როგორც დეკანი, თავს უფლებას ვაძლევ, უფრო მეტი მოგითხროთ.

ჩვენი ფაკულტეტი ერთ-ერთი უძველესი ფაკულტეტია თურქეთში. მომავალ წელს მისი დაარსებიდან მე-40 წელს აღვნიშნავთ. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენმა ფაკულტეტმა ორი ათასამდე კურსდამთავრებული გამოუშვა. ისინი მრავალ უცხო ქვეყანაში აგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას. ჩვენს ფაკულტეტზე გვყავს 93 აკადემიური პერსონალი – 40 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი, 16 ასისტენტ-პროფესორი, 21 მასწავლებელი. სწორედ, ამ აკადემიური პერსონალით შევძლებთ, რომ მივიღოთ მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის მიმართულებით განხორციელებული პროგრამის მუშაობაში, ასევე, სურვილი გვაქვს, ვთხოვოთ მათ, გაგვიზიარონ გამოცდილება. ეს ყველაფერი აისახება ორმხრივად გასაფორმებელ პროტოკოლში. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისია.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს რექტორს იმისათვის, რომ გვაქვს ძალიან კარგი ლაბორატორიები, კარგი აუდიტორიები, სადაც წარმატებით მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, გვაქვს უზარმაზარი კლინიკა, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიებით და სათანადო პირობების საფუძველზე მიმდინარეობს ოპერაციები. ჩვენ გვაქვს საშუალება, პრაქტიკული სამუშაოები ჩავატაროთ, იმდენად ბევრი დაავადებული ცხოველი მოდის. ისიც აღსანიშნავია, რომ გვაქვს ფერმები, სადაც ყველა შინაური ცხოველი გვყავს, ღორის გარდა. ჩვენ ვთხოვეთ ევროკავშირს, ამ მიმართულებით დახმარება მიგვეღო ქართველი კოლეგებისგან, რაზეც მივიღეთ დადებითი პასუხი – შეგვიძლია თანამშრომლობა ქართველ კოლეგებთან და მათი გამოცდილების გაზიარება ღორის მკურნალობასთან და ვეტერინარიის სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მინდა მოგახსენოთ, რომ სიამოვნებით მივიღებთ თქვენს სტუდენტებს იმისათვის, რომ ჩაერთნენ სასწავლო და კვლევით პროცესებში და აქვე გეტყვით, რომ ვეტერინარიის თითქმის ყველა მიმართულებაზე გვაქვს სადოქტორო პროგრამები, გამოვაგზავნით ჩვენს სტუდენტებს თქვენთან პრაქტიკის მისაღებად. ჩვენ აუცილებლად ვითანამშრომლებთ სამეცნიერო მიმართულებითაც.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტს და ყველა მონაწილეს წარმატება ვუსურვო.

ლევან მაკარაძე, *სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო სავეტერინარო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი:*

მოგესალმებით, მეგობრებო. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო წინამორბედი გამომსვლელების მიერ მხარდაჭერა ახლად ჩამოყალიბებული ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამებისადმი.

→

←

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში შესაძლებლობა ყოფილიყო, სწავლება განხორციელებულიყო ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ქვეყანაში ერთადერთი უმაღლესი დაწესებულება, სადაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების განხორციელება. ყველაფერი ეს უნივერსიტეტს უფრო დიდ პასუხისმგებლობას ავალებს მომავალი კვალიფიციური კადრების მომზადებაში. ასევე, დიდი პატივისცემით მინდა, მივესალმო კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ჰუსნუ ქაფუს. მის გამოსვლაში და ჩემს კოლეგა მეთე ჯიჰანის გამოსვლაში მე ვნახე გულთბილი რჩევები თანადგომისა და შემდგომი ურთიერთობებისა, რაც ძალიან წაადგება ჩვენს შემდგომ საქმიანობას.

ძალიან სასიამოვნო იყო, მეგობრებო, ხელისუფლების წარმომადგენლის, ბატონ ვასილ ბასილაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახლად ჩამოყალიბებულ სწავლებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფოს მხრიდან სჭირდება სერიოზული დახმარება და რესურსების მიმართვა. მადლობა ბატონ ტოომასს იმისათვის, რომ გამონახა დრო და დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ვეტერინარიის განვითარების რეფორმების განხორციელებაში. დღევანდელი სიმპოზიუმი, რომელიც, ფაქტობრივად, ორი მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის ორგანიზებით ხორციელდება, წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს საერთაშორისო ურთიერთობაში და რეგიონში შემდგომი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საქართველოში დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ხელისუფლების მიდგომა ვეტერინარიის მიმართ სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ვეტერინარია ქვეყნისთვის არის პრიორიტეტული მიმართულება და დარგი. ეს რომ ნამდვილად ასეა, მე მინდა იმ რეფორმების რამოდენიმე ნაწილზე გავამახვილო ყურადღება, რომელმაც გააჩინა რეალური პერსპექტივა ვეტერინარული დარგის განვითარებისათვის და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანი იყო 2017 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც საშუალება მოგვცა, ვეტერინარია მოქცეულიყო რეგულირებადი პროფესიის სტატუსის ქვეშ და სწავლება გაგრძელებულიყო ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, ხუთწლიანი სწავლებით, მინიმუმ – 300 კრედიტის მოცულობთ. აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ ამ რეფორმების კუთხით, ჩვენი შემუშავებული ინტეგრირებული პროგრამა გახლავთ იმ მნიშვნელოვანი სწავლების ნაწილი, რომელშიც აისახა ევროპის წამყვანი ვეტერინარული სტრუქტურების მოთხოვნები. ჩვენ ძალიან ვაფასებთ კავკასიის უნივერსიტეტთან ურთიერთობას, განსაკუთრებით ვეტერინარულ ფაკულტეტთან. მე ძალიან მეამაყება, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტი გახდა სრულუფლებიანი წევრი ვეტერინარული განათლების დაწესებულების ევროპული ასოციაციის. ყოველივე ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს, ამ ნაყოფიერი თანამშრომლობის გზით გავეცნოთ იმ წარმატებებს, იმ რეფორმებს, რომლებმაც უნივერსიტეტი და ფაკულტეტი მიიყვანა დიდ გამარჯვებამდე.

მეგობრებო, ჩვენმა პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია, ეს არ ყოფილა შემთხვევითი, ძალიან კარგი შეფასება მიიღო საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან და, გარდა ამისა, ჩვენ მთლიანად გავიზიარეთ და გავითვალისწინეთ აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში შექმნილი ვეტერინარიის საბჭოს რეკომენდაციები. მინდა გაუწყოთ, რომ ამ საბჭოს 11 წევრიდან 5 გახლავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტებული პროფესორი, თავმჯდომარეც – ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი გოდერძიშვილი გახლდათ. მინდა, ჩემს კოლეგებს თურქეთის მხრიდან ვაუწყო, რომ პირველად, ვეტერინარიის სწავლების ისტორიაში, პროგრამაში ცალკე მონაკვეთად ჩაიდო ცხოველთა მოშენების, ცხოველური სურსათის უვნებლობის საკითხები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია მოამზადოს არა მარტო ვეტერინარი ექიმები, არამედ კურსდამთავრებულებს წარმატებით შეუძლიათ, კარიერა გააგრძელონ სურსათის უვნებლობის, ბიოუსაფრთხოების, ვეტერინარიისა და ბიოსამედიცინო კვლევით ცენტრებში, ფარმაკოლოგიურ ინდუსტრიაში და ასე შემდეგ.

ერთ რეფორმაზე გავამახვილებ ყურაღებას – საქართველოში დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს შეხვედრები იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ვეტერინარიის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც იქნება დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და რომელიც გაუწევს ზედამხედველობას ვეტერინალურ საქმიანობას. ჩვენ იმედის თვალით შევყურებთ რეფორმების ამ ნაწილს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, მეგობრებო, მხარდაჭერისთვის. მე უფრო ამაყი ვარ, რომ ვგრძნობ ჩვენი მეგობრებისა და კოლეგების თანადგომას, განსაკუთრებით სტრატეგიული პარტნიორობის კუთხით კავკასიის უნივერსიტეტის სახით. წარმატებას გისურვებთ ყველას.

სტუდენტების ჰოლისტიკური პროფესიული განათლებისა და დასაქმების ეროვნული სივრცეში

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

პირველი გვერდიდან

პირველი გახლავთ ბუღალტრის უმაღლესი პროფესიული პროგრამა, რაც ნიშნავს იმას, რომ აბიტურიენტები, აპლიკანტები, პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის მსურველები რეგისტრირდებიან და გამოცდას აბარებენ ისე, როგორც ეს იყო აქამდე – რეგისტრირდებიან ჩვეულებრივ ერთიან ბაზაში და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მათ პროფესიულ ტესტირებას, რაც მათ სჭირდებათ.

მეორე პროგრამა არის კომპიუტერული ქსელი და სისტემები. ჩამოთვლილი პროგრამები ახალციხეშიც გვაქვს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ისინი ამ სასწავლო წლიდან, კონკრეტულად, 25 სექტემბრიდან უკვე ამოქმედდება ახალქალაქშიც.

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული პროგრამა საყურადღებოა კიდევ ერთი კუთხით – იგი გულისხმობს ინტეგრირებულ მოდულებს, საბაზო განათლების ან სასკოლო განათლების ინტეგრირებულ მოდულებს.

ეს ნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც დაასრულეს სკოლის სრული კურსი, 12 კლასი, მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობა ცხრაკლასდამთავრებულებისათვის – ისინი ჩააბარებენ პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია სასკოლო მოდულები. ჩვენმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი აიღებენ დოკუმენტს, რომელიც არის დიპლომი და ადასტურებს მათ კვალიფიკაციას კონკრეტულ სპეციალობაში. მაგალითად, კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში, ამავე დროს, ეს დოკუმენტი უტოლდება სკოლის ატესტატს და შესაძლებლობას აძლევს მათ უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

მეორე კორპუსის ეს კარგი გამოცდილება გადავიტანეთ მე-4 კორპუსშიც, მაგრამ განსხვავებით ახალციხისგან ახალქალაქს დამატებით ექნება პროგრამები, რომელიც ჩვენ არა გვაქვს პირველსა და მეორე კორპუსში.

სიხარულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი პროგრამები ამოქმედდება, როგორიცაა სატყეო საქმე. მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში, ზოგადად, ამ სფეროში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ძალიან მალე შეუძლებელი გახდება უშუალოდ სატყეო საქმის სპეციალისტის გარეშე დასაქმება. შესაბამისად, იზრდება სივრცე და შესაძლებლობა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების, რომელთაც აქვთ ასეთი პროფილური, პირდაპირ სატყეო საქმის მიმართულებით განათლება. სატყეო საქმის პროგრამაც გახლავთ ის პროგრამა, სადაც შეუძლიათ ჩააბარონ, როგორც მე-12 კლასის, ისე მე-9 კლასის დასრულების შემდეგ.

ახალქალაქს უკვე ოქტომბრიდან ეყოლება სტუდენტები ელექტროობის მიმართულებით. შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ესეც საშური და საჭირო საქმე იყო. მოგეხსენებათ, აქტიურად მშენებარე ჰესებს ჩვენს მხარეში და არა მხოლოდ ჩვენს მხარეში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ესაჭირება. ჩვენ მოვამზადებთ ელექტრიკოსებსაც. ელექტრიკოსებიც მომზადდებიან როგორც მე-12, ასევე მე-9 კლასის დასრულების შემდგომ.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც მორგებულია ახალქალაქის რეალობას, არის მებოსტნის პროგრამა. აქ მხოლოდ მე-12 კლასის დასრულების შემდეგ ჩააბარებენ. ის შესაძლებლობები, რაც არის პროგრამის შიგნით, ყველა იმ ადამიანს, რომელიც სამომავლოდ ფიქრობს, სერიოზულად დასაქმდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს. ჩვენ გვექნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სათანადო დონეზე, რომელიც მისცემს შესაძლებლობას სტუდენტს, გაეცნოს მებოსტნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.

კიდევ ერთ დეტალს გავუსვამთ ხაზს – შევახსენებთ საზოგადოებას, რომ ახალქალაქში, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი 8 პროგრამის გარდა, იმოქმედებს, ასევე, საბაჟო საქმის პროფესიული პროგრამა და დამატებითი ადგილები გვექნება გამოცხადებული (ზოგიერთმა ჩარიცხულმა სტუდენტმა ვერ შეძლო შედეგების დადასტურება, შეუწყდათ სტატუსი და ადგილები განთავისუფლდა). ასევე, ახალ შევსებას მივიღებთ და ოქტომბრიდან საბაჟო საქმეც ამოქმედდება ახალქალაქში. ამას დაემატება Oris კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამაში მომზადების მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, ექვსი პროგრამა, რეალურად ინტეგრირებული მოდულებით გამოდის ცხრა პროფესიული პროგრამა, ელოდება თავის მსმენელებს, რომელთა რეგისტრაცია დაიწყება 12 ივლისიდან და გაგრძელდება 20 აგვისტომდე.

საყურადღებოა, რომ იცვლება პროფესიულ პროგრამებზე მიღების წესები. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით განისაზღვრა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი. უმაღლესი პროფესიული პროგრამების გარდა, თითოეული დაწესებულება თვითონ მიიღებს და შეარჩევს წელს მსმენელებს. ისინი რეგისტრაციას გაივლიან კვლავ ერთიან ბაზაში, მაგრამ გამოცდები ჩატარდება ინსტიტუციაში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება ექნება შეარჩიოს პროგრამებზე მსმენელები. მივეგზავნილ სალმებით ჩვენ ამგვარ მიდგომას. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ სტუდენტები მივიღოთ არა მხოლოდ ტესტირების შედეგების საფუძველზე, არამედ გასაუბრების დროს დავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ თითოეული სტუდენტის მოტივაცია და შესაძლებლობა, რამდენად შესწევს უნარი, კონკრეტულ პროგრამაზე ისწავლოს. შესაბამისად, ჩვენ ბევრად უფრო მოტივირებულ სტუდენტებს შევარჩევთ და გვექნება საშუალება, რომ მიზნობრივი ჯგუფი უფრო მორგებული იყოს პროგრამების განსხვავებებსა და საჭიროებებს.

კვლავ და კვლავ ღიაა საერთო საცხოვრებლის კარი ახალქალაქში, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ პროფესიულის სტუდენტების გეოგრაფიული არეალი გავზარდოთ. დაჯერებით მინდა მოგახსენოთ, რომ პედაგოგების ჯგუფი, რომლებიც ამ პროგრამებზე არიან შერჩეულნი, არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე. მათ გაიარეს ტრენინგები და თითოეული მათგანი კონკურსის წესითაა შერჩეული.

ბოლოს გვინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრათ ჩვენს პარტნიორებს, რომელთა უშუალო ჩართულობითა და დახმარებით მიმდინარეობდა ამ პროგრამების შემუშავება. ყველა ჩვენმა პარტნიორმა, დამსაქმებელმა ლომის წილი შეიტანა ამ პროგრამის შემუშავებაში, თანადგომაში. ჩვენ ხელშეკრულებები გავაფორმეთ როგორც სატყეო დეპარტამენტთან, ასევე ენერგოპროჯორჯიასთან, ფარავანჰესთან, მებოსტნეობის მიმართულებით ჩვენს დამსაქმებლებთან და ჩვენს ერთგულ პარტნიორებთან. დარწმუნებული ვართ, რომ დამსაქმებლების და უნივერსიტეტის ასეთი თანამშრომლობით, საბოლოო ჯამში, გამარჯვებული გამოვა პროფესიული განათლება ანუ – საქმე და ამ გამარჯვებით ისარგებლებენ სტუდენტები, რომლებიც პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხებიან. ასე რომ, განათლებისა და დასაქმების ერთიანი სივრცე და შანსი იქმნება უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში პროფესიული განათლების მიმართულებით.

„რთული გამოცდის წინაშე დგას ჩვენი მეცნიერება ნებისმიერი მიმართულებით“

მერაბ ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი



თავდაპირველად, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი ჩამოყალიბდა ახალციხეში, როდესაც ჩვენ ვიყავით გაგრძელება დედა უნივერსიტეტისა სამხრეთ საქართველოში, ჩვენი მთავარი მიზანი თავიდანვე იყო სამეცნიერო საქმიანობის წინ წამოწევა და შესაბამის დონეზე შექმნა სამეცნიერო პროდუქციისა.

ეს 30 წელი, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაგვიფრინდა, სამეცნიერო კუთხით ბევრ ეტაპად შეიძლება დაიყოს. იყო გადამწყვეტი ეტაპები, მაგრამ ერთი შეიძლება აუცილებლად ითქვას, რომ პირველივე დღეებიდან ჩვენ მრავალდარგოვანი სამეცნიერო კონფერენციები შევთავაზეთ საზოგადოებას. ამართლებდა ეს, თანაც, ეს იყო იმ პერიოდის, მე-20 საუკუნის კომუნისტური წყობილების პროდუქტი. ეს შეხვედრები – სამეცნიერო სიმპოზიუმები, კონფერენციები, სემინარები უნდა ყოფილიყო მრავალდარგოვანი. ამას იტანდა მაშინდელი საზოგადოებაც და იდეოლოგიაც. ასე გავაკეთეთ 90-იანი წლების დასაწყისში.

საკმაოდ რთული იყო ამ ტიპის კონფერენციების ჩატარება. წარმოიდგინეთ – ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია, მათემატიკა, ასტრონომია და ასე შემდეგ, ერთდროულად იწყებდა და ვატარებდით შეხვედრებს. მთელი ფორუმი იყო მაშინდელი კონფერენციების. ეს არაერთგზის გაგვიკეთებია. შემდეგ თანდათან დავიწროვდა არა მარტო ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, მასპინძელ უნივერსიტეტს შესაბამისი პროდუქცია უნდა ჰქონოდა, ჩვენ კიდევ ყველა სფეროში არ ვიყავით მზად, სხვას რომ თავი დავანებოთ, შეზღუდული ვიყავით ფაკულტეტების და, შესაბამისად, სამეცნიერო შედეგებით, მიმართულებებით.

გვქონდა საერთაშორისო კონტაქტები, იყო ერთობლივი შეხვედრები, მე-20 საუკუნის ბოლოს ჯერ ყარსში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია და მერე ჩვენთან, აბასთუმანში, ჩატარებული დიდი კონფერენცია. ასე რომ, ეს ტრადიცია გრძელდება. მე ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტის ცხოვრების რომელიმე ეტაპზე, ვთქვათ, სამეცნიერო საქმიანობისადმი ინტერესი არ იყო. ინტერესი იყო, შესაძლებელია ითქვას, რომ მეტნაკლებად ხერხდებოდა სხვადასხვა დროს ამ ტიპის სამუშაოს წარმართვა.

2014 წლიდან ჩვენ უკვე გვევალებოდა და გვევალება დღესაც, სამეცნიერო პროდუქციის შექმნა და დადება. დღეს ჩვენი საქმიანობის ნახევარი უნდა დაეთმოს სამეცნიერო საქმეს, ხოლო მეორე ნახევარი – აკადემიურ საქმიანობას, სტუდენტებთან ურთიერთობას. ეს ყველაფერი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს თითოეული პროფესორის ცხოვრებას. 2017 წელს აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეფერირებად ჟურნალში აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი ჩვენი პროფესორების სტატიები. ესეც ძალიან გაბედული ნაბიჯი იყო თავის დროზე. მართალია, ყველამ ვერ დაბეჭდა, შესაბამისად, ის შედეგიც ვერ მივიღეთ, რაც უნდა მიგვეღო, რაზეც იყო გათვლილი. ვგულისხმობ რას – თუ ვერ დაბეჭდავდა სამეცნიერო ნაშრომს ჩვენი პროფესორი, ასეთ შემთხვევაში ის იძულებული უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, დამშვიდობებოდა თავის სამეცნიერო საქმიანობას. ამას ვერ იზამდა ის, როგორც ჩანს. ამის გამო ბევრი რამ, ალბათ, გაჭირდება.

უნივერსიტეტის 30 წლისთავთან დაკავშირებით, გამოვიდა კრებულები, წიგნები, სამეცნიერო კონფერენციები მივუძღვენით ამ თარიღს, იყო მოლოცვები, მაგრამ პანდემიის გამო, ბუნებრივია, ისე არ გაკეთდა, როგორც უნდა გაკეთებულიყო.

პანდემიის პირობებში ნებისმიერი საქმის წარმოება იყო რთული. არაფერი სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჰქონდა ამას დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომ ონლაინ სწავლებამ გვაიძულა, კომპიუტერთან უფრო ახლოს ვყოფილიყავით, რომ ჩვენი სტუდენტები მიეჩვივნენ დისტანციურ კითხვა-პასუხს და ასე შემდეგ, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ თავის მართლებასავითაა. არა მგონია, რომ ონლაინ სწავლება არის ის, რაც უნდა იყოს. როგორ არა, მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტს აქვს სწავლის ასეთი ფორმა და არა მარტო სწავლისა, სამეცნიერო საქმიანობისაც. თუ გულწრფელად და რეალურად მივუდგებით ამ ამბავს, ეს არის რეალური საქმიანობის, დაახლოებით, 30-35 პროცენტი. შეუძლებელია, ნებისმიერი დისტანციური სწავლება იყოს როგორმე კონკურენტი კონტაქტური სწავლების, პრაქტიკულად შეუძლებელია ეს. თანაც, იმ დისტანციურ სწავლებასთან, რომელიც ღირებულია ზოგიერთ ევროპისა და სხვა უნივერსიტეტებში, სიმართლე გითხრათ, კონკრეტული შეხება არ მქონია პირადად. სილაბუსი არის, ვთქვათ, გათვლილი დისტანციურ სწავლებაზე, სილაბუსით არის ყველაფერი დალაგებული, ამის მიხედვით ხდება სწავლება შემდეგ.

ამ ორი წლის განმავლობაში, თითოეულ ჩვენგანს საქმე ჰქონდა იძულებით დისტანციურ სწავლებასთან, რადგან არის გარკვეული საშიშროება. ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე არ არის პასუხისმგებელი, ის პასუხისმგებელია გარემოზე. მართალია, მას ყოველთვის ჰქონდა ეს პასუხისმგებლობა, მაგრამ ახლა გამძაფრებულია. ჩემი ავადმყოფობა მარტო ჩემი ავადმყოფობა არაა. საკმარისია, მე გამცდეს, ის შეიძლება უფრო მძიმე აღმოჩნდეს სხვისთვის. ამ ყველაფერმა გვაიძულა ჩვენ, რომ დისტანციურად გაგვეგრძელებინა ურთიერთობები.

სწავლას რომ თავი დავანებოთ, ყველამ იცის, რა არის და როგორ მიმდინარეობს დისტანციურად ეს ყველაფერი. სიმართლე გითხრათ, ბევრად გაადვილდა სამეცნიერო შეხვედრები. ვთქვათ, ვატარებთ სამეცნიერო კონფერენციას. ნებისმიერი კონფერენცია არის უშუალო შეხვედრის შედეგი. ონლაინ კონფერენცია თავისი შინაარსით, თავისი დანიშნულებით, ჩვენთვის არ არის კონფერენცია, მაგრამ ადვილი არის, ვთქვათ, მოხსენების წაკითხვა. დაჯდები შენს ოთახში შენს კომპიუტერთან, კომპიუტერის ეკრანის ნახევარი დაიკავებს მოხსენებას, მეორე ნახევარში წარმოდგენილი იქნება შეხვედრის მონაწილეთა ფოტოგამოსახულებები. წაიკითხავ მოხსენებას, მერე ვიღაც გკითხავს რამეს და დამთავრდება ყველაფერი. კიდევ ვიმეორებ – ადვილია, იმიტომ, რომ სტუმარს აღარ ელოდები, სასტუმრო აღარ გჭირდება სტუმრისთვის, მასპინძლობა არ გჭირდება, შესაბამისად, მათი კვება არ გჭირდება, მაგრამ იმ კონტაქტებს და ურთიერთობებს სულ სხვა დამოკიდებულება ახლდა, ახლდა კულისები, ახლდა გვერდზე გასვლა და იქ რაღაც იდეაზე საუბარი, ახლდა ბევრი რაღაც, რომელიც აქ ვერ იქნება. ეს მომენტებია, თორემ გატარებისთვის, „კონფერენცია ჩავატერე“, ეს კარგი გამოსავალია. ზოგი ფიქრობს, რომ ამისთანა კარგი არაფერი გვქონიაო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ.

რაც შეეხება ასეთი მუშაობის შედეგებს, საინტერესო მომენტები გვაქვს. თუ კი ონლაინ შეიძლება მოხსენების წაკითხვა, ესე იგი, ეს მოხსენება შეიძლება იდოს ელექტრონულად. დავდოთ ეს მოხსენება ინტერნეტში, თუნდაც კრებულის სახე მივცეთ და იყოს ელექტრონული კრებული, რომელზეც ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცა დააჭერს პატარა ღილაკს ხელს და მორჩა ის შენი ელექტრონული კრებული, დაიკარგა მაშინ, როდესაც უამრავი მოწესრიგებული და ოფიციალური ჟურნალებია, ქვეყანას რომ ანგრევენ ფულის გულისთვის. 2000 ევროს გადაიხდი კაცი, მიუტანე და ის ჟურნალი დიდი სიამოვნებით დაგიბეჭდავს ყველაფერს, რაც გინდა. ეს პრობლემები დღეს დგას ძალიან სერიოზულად. ვერავინ მეტყვის, რომ დავუშვათ, ჩემი მასწავლებლების – აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ივანე ჯავახიშვილის, სხვათა და სხვათა ნაშრომები, თუ ის არ იყო დაბეჭდილი უცხოურ გამოცემებში, პლაგიატი იყო ან რაღაც სხვა. ამან მოიტანა ყველაფერი ეს. იძულებული ხარ, ცალკე პლაგიატზე გაატარო იმიტომ, რომ უამრავი პროდუქცია არის შემოყრილი, მოიპარე, რაც გინდა, დააკოპირე და გადმოიღე ერთი ავტორი, მეორე, მესამე და... გამოვიდა სტატია. ვისაც სურვილი ჰქონდა, ამას მანამდეც აკეთებდა. აწყვია უამრავი წიგნი, დისერტაცია საიმისოდ, რომელიც დღეს რომ გამოამზეურო და გამოიტანო, მისი ავტორი, ალბათ, უნდა გადახტეს მესამე-მეოთხე სართულიდან. თუმცა, ეს ერთეულები იყო მაშინ. ახლა ამ ელექტრონულმა ურთიერთობებმა ეს ყველაფერი აქცია ხშირ მოვლენად. ამიტომ არის, რომ უკვე შეიქმნა საჭიროება, შევამოწმოთ, არის თუ არა მოპარული.

შეიქმნა სპეციალური კომისია პლაგიატის გამოსავლენად. კომისიის მუშაობა, რა თქმა უნდა, შედეგიანია, მაგრამ ახლავს სერიოზული ხარვეზიც. ვინც იმას კადრულობს, რომ სხვისი ნაშრომი მიითვისოს, ის იმასაც მოახერხებს, შეფუთოს ისე, რომ მითვისება ყველამ ვერ გაიგოს, თუნდაც, ვერ გაიგოს პლაგიატის პროგრამამ. როგორ ხდება ეს? არ არის ეს ძნელი. ქართული სამეცნიერო პროდუქცია განა ყველაფერია შეტანილი ინტერნეტ სივრცეში? რა თქმა უნდა, არა. შეიძლება მიითვისო იმ ნაშრომიდან, რომელიც არაა ელექტრონულ სივრცეში. ამიტომ ადამიანის გონება და ტვინია მთავარი. ამა თუ იმ მიმართულებაში და დარგში რა გაკეთებულა, იმ საქმის წარმომადგენელმა და პროფესორმა ყველაფერი კარგად იცის, თუ რეალური პროფესორია. თუ ყველაფერი ისეა გაკეთებული, რაზეც ვისაუბრე, იქ უკვე აღარაფერი უშველის მაგ საქმეს, ისევე, როგორც, დავუშვათ, უცხოენოვანი, ინგლისურენოვანიდან თარგმნილი და გადმოტანილი, ოღონდ თარგმნილი ისე, რომ უკან ვეღარ თარგმნონ, როცა პლაგიატი იქნება.

მეცნიერება დღეს დიდ გასაჭირშია. რა თქმა უნდა, აქამდეც იყო ეს ყველაფერი, მაგრამ – ახლა უფრო მეტად. კიდევ სხვა რამით არის გასაჭირში. მეცნიერებას საქართველოში და, ალბათ, სხვა ქვეყნებშიც, ახლო-მახლო, არა აქვს ფასი, არ არის შესაბამისი ანაზღაურება, არ გეძლევა ის თანხა, რასაც ჩადებ მასში. ყოველგვარი იდეა მოკვდება იქ, სადაც ანაზღაურება არ არის.

მე ვფიქრობ, რთული გამოცდის წინაშე დგას ჩვენი მეცნიერება ნებისმიერი მიმართულებით. აბა, რატომ გარბიან ჩვენი მეცნიერები უცხოეთში? გარბიან იმიტომ, რომ იქ მაღალი ანაზღაურებაა. უნდა შეიქმნას ეს ანაზღაურება. მე არ ვამბობ, რომ ეს უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს არაა აუცილებელი. მეცნიერი მზად უნდა იყოს, რომ შექმნას პროდუქცია. დიდი ფულის პატრონებიც მზად უნდა იყვნენ, რომ მეცნიერებას უპატრონონ. სხვანაირად მისი სიმდიდრის პრობლემაც დადგება ხვალ. რომელი ფულია დღეს დიდი ფული? რომელიც სიბნელესა და უცოდინრობაზეა აგებული და მოპოვებული? დიდ ფულს დიდი პატრონობა უნდა. ამისთვის კი განათლებაა საჭირო. მეცნიერება და ნებისმიერი ეკონომიკა, ნებისმიერი კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურა გადაჯაჭვული უნდა იყოს ერთმანეთზე, როგორც ეს არის შესაბამის ქვეყნებში. ვიღაცა უნდა გვიკვეთავდეს ჩვენ და გვეუბნებოდეს – შენ ეს გამიკეთე და მე ამდენს მოგცემ. რა არის ამაში ცუდი? ქართველი კაცი ბაზარში ისეთ დროს დადგა, როცა გამოსავალი აღარ ჰქონდა. მანამდე – ბაზარში როგორ დავდგებიო... დადგები, როდესაც გაგიჭირდება. არადა, სულ ბაზარზეა აგებული მთელი ცხოვრება და მთელი მსოფლიო. ამ ბაზრის ნაწილი უნდა გახდეს მეცნიერიც. ჩვენ ისე გვაქვს მოწყობილი ჩვენი მენტალობა, რომ აი, მაგალითად, მე როდესაც მეტყვიან, რომ რომელიმე ჩვენი მუნიციპალიტეტს ესა თუ ის სახელი აინტერესებს, მომმართავენ – რას იტყვი ამასთან დაკავშირებით – იმ მთებს რა ჰქვია, ამ ბარს რა ჰქვია, ქალაქებს რა ერქვა თუ სოფლებს რა ერქვა... მე ძალიანაც მიხარია და რაც შემიძლია, ვუპასუხებ, მაგრამ სხვა დროს მოვა ვიღაც და გეტყვის – აი, აქ არის 1000 ლარი, ამ თანხით ჩვენ გვინდა ამა და ამ სოფლის, ვთქვათ, ხუთგვერდიანი დახასიათება, თავისი ისტორიითა და დღევანდელობით. გამოაცხადებს ამას ოფიციალურად. სულ თავებს ვამტვრევთ ერთმანეთს მერე ონომასტიკოსები – ვინ უკეთესად გავაკეთოთ ეს, რომ მოვიგოთ ეს თანხა. ამაზე ვსაუბრობ.

დღეს ხელოსნობა უფრო ფასობს, ვიდრე მეცნიერება. დღეს შეიძლება ტექნიკურად ახალი მანქანა შექმნა, მაგრამ ვერავინ დააინტერესო მისით; სანამ დაინტერესებ, ის მოძველდება. სამაგიეროდ, ვისაც შეუძლია მანქანა შეარემონტოს, ნებისმიერი ტრანსპორტი, ის მოთხოვნადია იმიტომ, რომ ისედაც უცხოეთიდან საქართველოში 10 წელზე ნაკლები დროის მანქანა თითქმის არ შემოდის. იმის შეკეთება კარგია, მაგრამ ახალი მანქანა რომ შექმნა, ეს არავის აინტერესებს. ამიტომ, მანქანის შემქმნელი და ფულიანი კაცი ერთად უნდა იყვნენ. მაშინ წავა წინ მეცნიერებაც და ეკონომიკაც.

თანამედროვე გამოწვევების მოთხოვნათა საპასუხოდ

გვესაუბრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი როინ თათეშვილი

მოგეხსენებათ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. მიუხედავად წარმატებული ავტორიზაციისა, ექსპერტებს რეკომენდაციები ჰქონდათ ზოგიერთ საკითხში. რეკომენდაციები, რომლებიც მათ წარმოადგინეს გარკვეული მიმართულებით, ჩვენც ვიცოდით, მაგრამ ეს დროში იყო გასაწერი, შეზღუდული რესურსების გამო. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეტაპობრივად, თანმიმდევრულად მივყვებით ყველა გათვალისწინებული რეკომენდაციის შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული აქტივობების განხორციელებაში ხელისშემშლელი ფაქტორები იყო, პანდემიის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ძირითად აქტივობებს, რაც დაგეგმილი გვქონდა ადმინისტრაციის კუთხით, ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებით გავართვით თავი. კონკრეტულად, რა გაკეთდა? პირველ კორპუსში თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. იმ დროს, როდესაც თანამშრომლები, ძირითადად, დისტანციურ რეჟიმზე იყვნენ გადასულები, ჩვენ ამ მიმართულებით მაინც ვმუშაობდით. ასევე, მეორე კორპუსში, პირველიდან მესამე სართულზე, დამონტაჟდა ლიფტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შეუფერხებელ გადაადგილებას უზრუნველყოფს. წინა პერიოდში მოწყობილი იყო პირველი სართულიდან სარდაფში ჩასასვლელი ლიფტი, სადაც ჩვენ განვათავსეთ ლაბორატორიები. ასევე, II კორპუსში მოეწყო უნარშეზღუდულთათვის სველი წერტილი, რომელიც შენობის გარეთ იყო და სტანდარტებს არ შეესაბამებოდა; მოეწყო კლასლაბორატორიები; შეძენილი იქნა დამატებით აღჭურვილობები.

პროგრამის აკრედიტაციის დროს ექსპერტებმა მოგვცეს მითითება, რომ ლაბორატორიაში, კვლევითი პროცესებისთვის, სასურველი იყო სტერეო მიკროსკოპის შეძენა. შეიძლება ჩავთვალოთ შეძენილად, რადგან ხელშეკრულება გაფორმებულია და უახლოეს დღეებში მივიღებთ.

მოგეხსენებათ, ახალქალაქის მეოთხე კორპუსში უნდა განხორციელდეს პროფესიული პროგრამები, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის სრული რეაბილიტაცია, ასევე, კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია.

რაც შეეხება შემოღობვით ნაწილს მისასვლელი მხრიდან და სამორიგეო ოთახს, რომელიც ამორტიზირებული იყო – ჩვენი რესურსებით გაკეთდა ჭედური ნაკეთობის ღობე და აშენდა ახალი სამორიგეო ოთახი.

ახალქალაქში ხუთმა პროფესიულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, სადაც მიმდინარე წელს დაიწყება სასწავლო პროცესი ახალ კორპუსში. ერთ-ერთი პროგრამა არის მებოსტნეობა, რომელსაც სჭირდება 200 კვადრატული მეტრის დახრული ფართი (სათბური), სადაც სტუდენტები სასწავლო პროცესს და დაკვირვებებს წარმართავენ მებოსტნეობის მიმართულებით. ვფიქრობთ, რომ სექტემბრამდე, უნივერსიტეტის ძალებით, ეს საკითხიც მოგვარდება.

მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში დაგეგმილი გვაქვს გათბობის შიდა სისტემის რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, გასულ წელს მოხდა ახალი გათბობის სისტემის დამონტაჟება დერეფნებში; ახლა ვფიქრობთ, შიდა აუდიტორიებსა და კაბინეტებში მთლიანად შევცვალოთ ძველი, არასტანდარტული სისტემა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სისტემით. სექტემბრისთვის უკვე დასრულებული იქნება აღნიშნული სამუშაოები, ვინაიდან ტენდერი უკვე გამოცხადებულია და გამარჯვებული გამოვლენილი. უახლოეს დღეებში გამარჯვებულ კომპანიასთან გავაფორმებთ ხელშეკრულებას და დაიწყება გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.

ასევე, რეაბილიტაციას ვგეგმავთ პროფესორთა საერთო საცხოვრებელში, ახალციხეში, შენობა ძველი ტიპისაა და არასტანდარტული. თითოეულ სართულზე ერთი სველი წერტილია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ მოთხოვნებს. გადავწყვიტეთ, სველი წერტილები ინდივიდუალურად შესულიყო საცხოვრებელ ფართებში. ამ პროექტის სატენდერო დოკუმენტაციაც უკვე მომზადებულია, ამ დღეებში გამოცხადდება ტენდერი და დაიწყებთ მუშაობას, რომ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც თბილისიდან ჩამოდიან, ჰქონდეთ შესაფერისი საცხოვრებელი პირობები.

ასე რომ, მიუხედავად პანდემიისა და გარკვეული შეზღუდვებისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ეტაპობრივად, თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტრატეგიული გეგმით გვაქვს გათვალისწინებული...

უნივერსიტეტის ადმინისტრირების კუთხით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია უნივერსიტეტის სტრუქტურა. მოგეხსენებათ, დღეის მდგომარეობით, უნივერსიტეტის სტრუქტურა, გარკვეულწილად, ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და აუცილებელი იყო გარკვეული სტრუქტურული ერთეულების დამატება სხვადასხვა მიმართულებით ფუნქციების გამიჯვნა, რათა უფრო ეფექტური და მოქნილი იყოს უნივერსიტეტის სტრუქტურა. ამ ფუნქციებთან ერთად, რა თქმა უნდა, თითოეულ თანამშრომელზე გაიწერება ვალდებულებები, რაც აამაღლებს თანამშრომელთა პასუხისმგებლობას. სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული თითოეული სტრუქტურული ერთეულის საშტატო განრიგი და შრომის ანაზღაურების განაკვეთები. აქედან გამომდინარე, მომზადდა უნივერსიტეტის სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების პროექტი, სდაც გათვალისწინებული იქნა განვლილი წლების ანალიზი, სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილება, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები.

პროექტის ოპტიმალურობისა და გამჭვირვალობის მიზნით, დამატებით განხილვები მიმდინარეობს ფაკულტეტის საბჭოებზე, ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებში.

აღნიშნული სტრუქტურა წარმოვადგინეთ მუდლის პროგრამაშიც. ასევე, გამოკითხვის ანკეტაა ჩადებული, თითოეულმა თანამშრომელმა რომ შეძლოს, გამოხატოს მოსაზრება – მოსწონს, არ მოსწონს ან დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნა. ეს საჭიროა იმისთვის, რომ გათვალისწინებული იქნას ყველა არგუმენტირებული და დასაბუთებული შენიშვნა, ვიდრე მას პროექტის ფორმა აქვს და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს წარმომადგენლობით საბჭოზე მისი დამტკიცება.

აი, ასეთ პროცესებში ვართ. მე ვფიქრობ, ეს დასრულდება სექტემბრამდე, შესაბამისად, სტრუქტურა აისახება ჩვენს წესდებაში, რომელსაც განათლების სამინისტრო დაამტკიცებს. ამის შემდგომ გამოცხადდება კონკურსი და ყველა ვაკანტური თანამდებობა დაკავებული იქნება კონკურსის წესით.

ეს ყოველივე გამიზნულია იმისათვის, რომ თანამედროვე გამოწვევების მოთხოვნებს პასუხობდეს ადეკვატური სტრუქტურული ერთეულები.

ინფორმაცია

● **1 ივნისს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა **დონარი ლონდარიძემ**, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სკოლის მოსწავლეებთან, ონლაინ ფორმატში, საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

მოზარდებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მათი არაკანონიერი მოპოვების, გამოყენების, გავრცელების ან სხვაგვარი დამუშავების გავლენა არასრულწლოვანთა ცხოვრებაზე; მონაცემთა დაცვის სფეროში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილება და სხვა.

შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პროექტის – **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩები“** – ფარგლებში.

აღნიშნული პროექტი 2020 წელს დაიწყო და, კონკურსის საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან 20-მდე სტუდენტი შეირჩა.

● **4-6 ივნისს,** ბულგარეთში, ქალაქ გორნაში, ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი – International Tournaments Open Cup Golden Lions, სადაც ჩვენმა კურსდამთავრებულმა, მკლავჭიდელმა **გაგა გელაშვილმა** მე-3 ადგილი დაიკავა.

„მინდა, მადლობა გადავუხადო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ გამომიყო ფართი დარბაზისთვის, სადაც სისტემატურად ვვარჯიშობ. მიხარია ეს გამარჯვება, რადგან მომეცა საშუალება, მესახელებინა სამცხე-ჯავახეთი და სრულიად საქართველო,” – ამბობს გაგა.

● **პირველი** ადგილი საარბიტრაჟო შესაგებლისთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა!

7 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე** გუნდის წევრ სტუდენტებს **დონარი ლონდარიძეს, ლამარა თელიაშვილს, მარიამ ლეკიშვილსა** და **ლია ბერიძეს** შეხვდა. ჯილდო, რომელიც გუნდის წევრებს გადაეცათ, უნივერსიტეტში დაიდებს საპატიო ადგილს.

● **8 ივნისს,** აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, შედგა რიგით მესამე ქსელური სასწავლო საზოგადოების შეხვედრა, რომელსაც ფასილიტაცია გაუწია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

შეხვედრის ძირითადი თემა იყო – **„სწავლების ზოგიერთი მიდგომა სკოლის დაწყებით საფეხურზე“** და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის: დამოუკიდებელი სწავლა/თვითრეგულირებადი სწავლა; ალგორითმებზე მუშაობის უნარების განვითარება დაწყებით კლასებში; მსჯ – ეფექტური საშუალება ახალი ესგ-ს დანერგვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში; ლექსის სწავლების ზოგიერთი სტრატეგია არაქართულენოვან სკოლებში.

წარმოდგენილი პრეზენტაციები მოიცავდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ტრენერების მიერ გაწეულ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებთან (მსჯ) მუშაობისა და სტუდენტებთან განხორციელებული პრაქტიკის პერიოდში.

შეხვედრას ესწრებოდნენ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის პარტნიორი უნივერსიტეტების ტრენერები და პროფესორები.

პარტნიორი უნივერსიტეტები არიან: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმიწო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

მოგონებები უნივერსიტეტზე

უნივერსიტეტი განსაკუთრებული მოვლენაა ახალციხეში

ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე

ახალციხეში პირველად 1989 წელს ჩამოვედი ახლადგახსნილ საფარის მონასტერში. ახალციხის უნივერსიტეტი 1990 წელს დაარსდა. ამავე წელს დაარსდა საფარის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც შემდგომში სემინარიად გადაკეთდა. თანადროულად ხდებოდა ეს ყველაფერი და თითქოს ახალი სული შემოვიდა, ახალი სული დატრიალდა ამ მხარეში. მაშინ იწყებდა ქრისტიანობაც განსაკუთრებით აღორძინებას. დიდი ხნის განმავლობაში ახალციხეში არ არსებობდა მოქმედი ეკლესია და მხოლოდ 80-იან წლებში შეძლო უწმიდესმა, რომ გახსნილიყო წმიდა მარინეს სახელობის ტაძარი. სულ რამდენიმე სასულიერო პირი იყო იმდროინდელ ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში. თითქოს, თავიდან იწყებოდა სასულიერო და საერო განათლება, მიუხედავად იმისა, რომ ახალციხეს უდიდესი ისტორია აქვს.

უნივერსიტეტი განსაკუთრებული მოვლენაა ახალციხეში. მან აბსოლუტურად შეცვალა ქალაქი, თითქოს თავიდან ჩამოყალიბდა ახალციხის ფენომენი. სახეზე იყო ცვლილება – სტუდენტებმა გაახალისეს ქალაქი, პროფესორ-მასწავლებლები ჩამოდიოდნენ თბილისიდან. მათთან ურთიერთობა იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი. რაღაც ახალი ეტაპი დაიწყო ქალაქის ცხოვრებაში.

უნივერსიტეტმა ძალიან დიდი როლი შეასრულა ახალციხის განვითარებაში და ის ნამდვილ საუნივერსიტეტო ქალაქად გადაიქცა. ამ ხნის მანძილზე მრავალი ღონისძიება ჩატარდა უნივერსიტეტში და როდესაც მაქვს ამის საშუალება, ყოველთვის ვცდილობ, დავესწრო ღონისძიებებს, რადგან ყველა მათგანი მიმართულია ქვეყნის განვითარებისკენ, იქითკენ, რომ ახალგაზრდობაში ჩაინერგოს სამშობლოს სიყვარული, ამასთან – არა უბრალოდ ბრმა სიყვარული, არამედ შემეცნებითი სიყვარული, სიყვარული, რომელიც განმტკიცებულია ცოდნით, რასაც უნერგავს ეს უნივერსიტეტი ჩვენს ახალგაზრდობას.

უნივერსიტეტი არა მხოლოდ ახალგაზრდების აღზრდას უწყობს ხელს, არამედ ამ ახალგაზრდების დაკავშირებას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდებთან. მით უფრო, რომ აქ სწავლობენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები. ის ამეგობრებს და მათ ურთიერთობებს აღრმავებს. ვიცი, რომ სტუდენტები სხავადასხვა ქვეყანაში დადიან კონფერენციებზე, ღონისძიებებზე, არსებობს გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტთან...

მინდა აღვნიშნო ბატონი მერაბ ბერიძის დიდი დამსახურება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტის დაარსებას ქალაქ ახალციხეში. ის ძალიან ბევრს შრომობდა და მოღვაწეობდა უნივერსიტეტის ავტორიტეტისთვის და დღეს ეს ავტორიტეტი მას ნამდვილად აქვს. ჩემ თვალწინ გაიარა ამ გზამ, როდესაც უნივერსიტეტი არარსებობიდან არსებობაში მოდიოდა. ისმოდა კითხვა, თბილისში არსებობს შესანიშნავი უნივერსიტეტი და რა საჭირო იყო ახალციხეში უნივერსიტეტის გახსნა?! მაგრამ დღეს ის არის ახალციხის განუყოფელი ნაწილი, თითქოს ახალციხეში გაიზარდა, ახალციხის ფესვებზე დგას და ვერანაირად ვერ გავყოფთ უნივერსიტეტს ახალციხისგან.

ახალციხის უნივერსიტეტთან ჩვენ ბევრი ერთობლივი პროგრამა გვაქვს განხორციელებული. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა „წმ. გრიგოლ ხანძთელის საზოგადოება“. ჩვენი ეპარქია არის ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია და მასში შემოდის არა მხოლოდ ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონები, არამედ ტაო-კლარჯეთიც. ჩვენ დავაარსეთ ერთობლივი ორგანიზაცია – „წმ. გრიგოლ ხანძთელის საზოგადოება“. ამ ორგანიზაციის მეშვეობით, მრავალი ექსპედიცია განვახორციელეთ. დაიწერა რამდენიმე თემა, რამდენიმე წიგნი. ჩვენ, ასევე, გამოვეცით წიგნი ჩვენს ეპარქიაზე. მასში შესულია როგორც სამცხე-ჯავახეთის ძეგლები, ისე ტაო-კლარჯეთში არსებული ჩვენი ქართული ტაძრები. ამ საზოგადოების მიზანია სასულიერო და საერო დასის ერთობა, ასევე ეკლესიისა და უნივერსიტეტის ერთობა. გვქონდა რამდენიმე ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში უნივერსიტეტის პროფესორებთან, სტუდენტებთან და სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ერთ-ერთი პირველი ექსპედიციის დროს, ბატონმა ზვიად ბერიძემ გადაიღო მშვენიერი ფოტოები, რომლებიც გვახსენებს იმ დროს, როდესაც ჩვენ ახლად შევდიოდით ტაო-კლარჯეთში და ვნახულობდით ამ შესანიშნავ ქართულ ტაძრებსა და ციხეებს. დღეს თითქოს ყველაფერი ვნახეთ, მაგრამ არაფერი შეცვლილა, სამწუხაროდ, წინ ვეღარ წავედით. მას სჭირდება ჩვენი უფრო მეტი ერთობლივი მონდომება, რომ ამან განაპირობოს თურქეთის მონდომება, ყურადღება მიაქციოს კულტურის ძეგლებს – ქართულ ტაძრებს. მადლობა ღმერთს, იშხანისა და პარხალის ტაძრებს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები და ეს ასეთი აქტივობების დამსახურებაა. როდესაც თურქეთის მხარე ხედავს, რომ მრავალი ადამიანი ჩადის საქართველოდან ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების – ქართული დიდებული ტაძრების მოსანახულებლად, ისინი ინტერესდებიან, რომ მოუარონ მათ. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი ხვდებიან, რომ არა უბრალო ქვების გროვასთან, არამედ გარკვეულ განძთან, ძალიან დიდ სიწმინდესთან, დიდ კულტურულ მემკვიდრეობასთან აქვთ საქმე. ჩვენ უნდა დავიცვათ ეს მემკვიდრეობა. თუ ჩვენთვის სულერთი იქნება, რა მდგომარეობაშია ჩვენი ძეგლები თურქეთში, მაშინ ის განადგურდება, მაგრამ თუ თითოეული ჩვენგანის დიდი ინტერესი იქნება, გადარჩეს ის, ყოველი ჩვენგანი გავაკეთებთ ყველაფერს, ვისაც რა შეგვიძლია – ზოგი ლოცვით, ზოგი ჩავა და ნახავს, ზოგი დაწერს, ფოტოგამოფენას გააკეთებს და ასე შემდეგ, ეს სიწმიდეები აუცილებლად გადარჩებიან და დაიბრუნებენ თავიანთ დიდებულ სახეს.

ჭულევის მონასტერი გახსნისთანავე, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყო უნივერსიტეტთან. როდესაც გაიხსნა ჭულევის მონასტერი, მამა სტეფანე (ამჟამად მეუფე სტეფანე კალაიჯიშვილი) დაინიშნა იქ წინამძღვრად. მეუფე სტეფანე თავად არის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს უნივერსიტეტთან. როდესაც უნივერსიტეტში გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, პირველი შემთხვევა იყო, რომ აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტთა დიპლომების დაცვა ჭულევში მოხდა. გვქონდა ასეთი რამდენიმე დაცვა და ყველა სადიპლომო ნამუშევარი არა მხოლოდ საგამოფენო ნამუშევრად იქცა, არამედ პრაქტიკულ გამოყენებაშია, მათ შორის ხატები, საეკლესიო ნივთები, მონასტრის კარები და კიდევ ბევრი რამ. ასევე, ჩვენ ერთობლივად გავაკეთეთ ჭულევის მონასტრის რესტავრაცია. იმ დროს ძალიან ჭირდა და ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო მონასტერი – არ ჰქონდა სახურავი, წყალი ჩამოდიოდა და კედლები ჩამოშლილი იყო. ერთობლივი ძალებით, ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან ერთად, ბევრი ვიმუშავეთ. ამ საქმეში ჩართული იყო გერმანიის საელჩო, რომელიც უნივერსიტეტმა დაუკავშირა ჭულევის მონასტერს. უნივერსიტეტის, გერმანიის საელჩოსა და ეკლესიის ერთობლივი ძალებით მოვახდინეთ ამ ტაძრის აღდგენა. ეს იყო საოცარი ერთობლივი სამუშაო და, ამავე დროს, ძალიან სასარგებლო და სასიხარულო თითოეული ჩვენგანისთვის.

მინდა, ასევე, განსაკუთრებით აღვნიშნო უნივერსიტეტის დამსახურება ახალი, წმ. შალვა ახალციხელის სახელობის ტაძრის მშენებლობაში. ჩვენი ერთობლივი, დიდი სურვილი იყო, რომ უნივერსიტეტის ეზოში აშენებულიყო მცირე ზომის ტაძარი და ბოლოს, ღვთის ნებით, უნივერსიტეტის გვერდით, მის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე აშენდა მშვენიერი საკათედრო ტაძარი.

ვულოცავ უნივერსიტეტს იუბილეს და ვლოცავ ყველას, ვინც ახალციხის უნივერსიტეტში შრომობს და მოღვაწეობს, ვინც სწავლობს და ისწავლა. ვუსურვებ სიკეთეს, კიდევ ბევრი სამეცნიერო სიმაღლეების დაპყრობას, კიდევ ბევრ ისტორიულ თუ კულტურულ სიღრმეებში ჩახედვას და ამის ჩვენებას ახალგაზრდობისთვის. არსებობის 30 წელი – ეს უკვე გამარჯვებაა და ჩამოყალიბება სერიოზულ, ანგარიშგასაწევ უნივერსიტეტად! ახალციხის უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია საქართველოში. ვულოცავ მას 30 წლის უბილეს და ვუსურვებ, რომ მუდამ ყოფილიყოს ეროვნული საგანმანათლებლო კერა და მრავლი წარმატებული და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდა აღეზარდოს!

ზოთა წურწუმია
ჩვენი კურსდამთავრებული

„მამულო, შენს შვილებს გვჭირდები!“

ვეფხვებთან მებრძოლი მოყმენი ქართველი დედების ხვედრია.

ეს ერთადერთი თხოვნა მაქვს

ორთავემ ვიცით, უფალო,
ასე რად მოსთქვამს ენგური...
მაგრამ სხვის გამტყუნებამდე,
პირველი ჩემს თავს ვემდური.
ჩვენი სისუსტე ვერაგ მტერს,
უფრო და უფრო აცინებს...
დედა რომ ცრემლში გეხრჩობა,
შვილს მშვიდად რაღა გაძინებს?
ირგვლივ სულ ომში დაღუპულ
ძმათა ფარ-ხმლები ჰფენია...
თვალებს ტკივილით ვახელ და
ცოცხალი რომ ვარ, მრცხვენია.
სიზმრებში აკვიატებულს,
ცხადშიც ეს ფიქრი მაწვალებს,
მტრის სისხლით რომ ვერ დავალბე
მამა-პაპათა საძვალე...
ხვალ თუ იღბალის დამბაჩამ
მჭიდში სიკვდილი ჩაიწყო...
ეს ერთადერთი თხოვნა მაქვს,
დახვრეტა ჩემით დაიწყონ...

მამები როგორაც ცხოვრობდნენ

ქართველნო, ჩვენს ცაზედ ყორნები,
ვერ ვხედავთ, რაოდენ მოგროვდნენ?
ვიცხოვროთ იმგვარი ცხოვრებით,
მამები როგორაც ცხოვრობდნენ.

მოყვრისთვის გავაღოთ ჭიშკრები,
მტრებზე... ფიცს ვერ მივცემ
მაცხოვარს...
თუნდ ვიყოთ ღარიბი, მდიდრები,
ლუკმა სულ გავუყოთ მათხოვარს.

აღარ მწამს, რომც მხვრეტდნენ, ძამია,
ქალთა და წვრილ-შვილთა ამკლების.
სიცოცხლე ისეც ხომ წამია
და ხშირად თვით წამზეც ნაკლები.

გიორგი ლაჩრებმა მოგვიკლეს...
მათ რიცხვში სხვა გმირიც ბევრია...
დღეს აგერ, არჩილი... მივყვები,
ვინ იცის, ხვალ ვისი ჯერია...

დავფიქრდეთ, ყველას გვაქვს მაგის
დრო...
გახსენით წარსულის ფირები!
არ გვტკივა ქართველებს აგვისტო?
არ გვახსოვს შინდისის გმირები?

ხმას, ძმებო, ამ მოთქმა-ჩივილით,
ვის ვაწვდენთ, ვის ვუმხელთ
ამ დარდებს?
ქართველო, ქართველის ტკივილი
შენს იქით არავის ადარდებს!

ნურც ის გვწამს, ტყვილა ნუ დავიცდით,
ვიდრე მზე აისის ამოვა,
ვახტანგი, ერეკლე, დავითი...
ქუდზედ რომ სალაშქროდ გამოვა.

თუმც მჯერა, აღელვებთ ეს ყოფა...
სიმშვიდე იქაც არ ეღირსათ...
მათ შექმნეს თავ-თავის ეპოქა,
ახლა ჩვენ ვიკითხოთ ჩვენისა.

თუ კი დღეს წარსულის ნახმლევებს
ვწამლობთ და ვერასგზით ვერ ვარჩენთ,
ქრისტიანთ იესო გვამხნევებს
და სისხლსაც არავის შევარჩენთ.

ჩვენია ეს ბარი, მთა და ტბაც...
ვაზს ჩაყრი, ხორბალს სთეს და
კურნავ...
არ დავთმოთ, ღვთისმშობლის
კალთამ რაც
სალოცავ ხატებად გვარგუნა!

ხან ვხაზავ, ხან
ვარსკვლავთვმრიცხველობ,
ხანჯლის პირს სალეს ქვას ვუსმევ და
სიზმრებშიც თან დამდევს, ის ელო
ერთ ომში ცხრა ვაჟს რომ უშვებდა.

ჩვენივ ზღვა, პალმა და ვერხვები...
შველას გვთხოვს, ჟამი დგას მძიმე და
ალგეთში დაზრდილი ლეკვები
ჯერ კიდევ გვრჩებიან იმედად.

ქორივით მხარდამხარ მომყევი,
ვიდრე ჩვენც ჩაგვინგრევს მკერდს
ტყვია...

პოეზია

შორს გზას ვერ გავიგნებთ, ხომ ხვდები?
დღემუდამ მალვით და სიფრთხილით...
დაგიცავთ ან კიდე – მოვკვდები,
არწივს რომ შვენის იმ სიკვდილით.

ოჯახს ვის ვუტოვებთ? მტრის შიშით,
წახდეს ის, ვინც ხიფათს გაექცეს,
ლომს ჰმართებს, მომხვდური ჭიდილში
დასცეს, ან ლომურად დაეცეს.

ის სევდა არ გვშვენის მგლებს, ძმებო,
დღემდე რომ ბინდისფრად გვფარავდა,
დროა, კვლავ მტრის სისხლით შევღებოთ
დიდგორი, კრწანისი, მარაბდა...

თუ გვკლავენ, მე მოვკვდე პირველი,
ამ ყოფით, იმედად რა დაგვრჩა,
ჩამძახეთ: „შენ ვეღარ გიშველით,
მაგრამ ჰა, სამშობლო გადარჩა”!

და სხვა ხსნის არცა ვარ მსურველი...
ძმობის ჩანგს რა დასწყვეტს იმ სიმებს,
ხუთჯვრიან ალამში გახვეულს,
ერი რომ გულწრფელად გიტირებს...

მამულო! შენს შვილებს გვჭირდები...
წვალებით დაზრდილნი გყევართ და,
ვიდრე სულს ვმორჩილებთ,
გპირდებით,
შენს მხრებზე ვისხდებით შევარდნად!

ქართველნო, არ გვშვენის, ყორნები
ჩვენს ცაზე ასე რომ მოგროვდნენ...
ვიცხოვროთ იმგვარი ცხოვრებით,
მამები როგორაც ცხოვრობდნენ!!!

სულ სხვა ეპოქის გვმართებს შენება

ჩემს სულს სწადია ზეცა რომ ნახოს,
როცა სხეული მიწად აგდია,
შენ არ იცი და არც დაგენახოს
რა სისხლის მსმელი განთიადია.

წეღან შეიხსნა მზემ ძლივს საყელო,
ქრისტე ღამეებს ათევს ლოცვაში,
სწუხს ხვთისმშობელი, რომ
საქართველო
დგას ჯალათების გარემოცვაში.

სიზმრად გვქცევია თავისუფლება,
გული ოხვრით გვაქვს ჩამოთოვლილი,
ქართველს არა აქვს იმის უფლება
იყოს მხარ-ბეჭზე წამოწოლილი.

როცა მოსწყდება მაღალ მთებს ლოდი,
მას ერთობა სძლევს, ხეთა მშვენება
და ჩვენც ახლით თუ ძველი მეთოდით
სულ სხვა ეპოქის გვმართებს შენება.

ეპოქის, სადაც ჩვენი შვილები
ფესვს გაიდგამენ ცოდნის შლილებად
და განათლების გულწრფელ სხივებში
სიმართლე აღარ დაიჩრდილება.

მაშინ კი მაშინ, შვებისა ფრთებით
მტრებს მოვედებით ძლევის ალებად
და წარმატების მწვერვალებისკენ
გზა თავისთავად გაიკვალება.

თუმც ახლა, სულის თანამზრახველო,
ქრისტე ღამეებს ათევს ლოცვაში,
სწუხს ხვთისმშობელი, რომ
საქართველო,
დგას ჯალათების გარემოცვაში...

სამეცნიერო კონფერენციები, მიძღვნილი უნივერსიტეტის 30 წლის იუბილესა და პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნისადმი

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია

1 ივნისს, გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველოლოგის, პროფესორ **ტარიელ ფუტკარაძის** ხსოვნას. კონფერენციას, გარდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და მომხსენებლებისა, ჰყავდა საპატიო სტუმრები, ბატონი ტარიელ ფუტკარაძის მეუღლე, ქალბატონი **იამზე ვაშაკიძე** და შვილი, **ნათია ფუტკარაძე.**

ბატონი ტარიელი, როგორც კოლეგა, პედაგოგი, მეგობარი, მეცნიერი და შესანიშნავი ადამიანი, გაიხსენეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** სიტყვა იმ მადლობის სიგელით დაიწყო, რომელიც ბატონ ტარიელს გადაეცა ზუსტად ერთი წლის წინ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობისა და განსაკუთრებული დამსახურებისთვის; როგორც მეგობარი და კოლეგა, გაიხსენა რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა,** ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **გიორგი ბუცხრიკიძემ,** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ,** პროფესორმა **ირმა ქურდაძემ,** პროფესორმა **როინ ყავრელიშვილმა,** ასოცირებულმა პროფესორმა **ვახტანგ ინაურმა,** ასოცირებულმა პროფესორმა **მაია ქუქჩიშვილმა.**

ტარიელ ფუტკარაძის ოჯახის წევრებმა, ქალბატონმა იამზემ და ქალბატონმა ნათიამ, მადლობა გადაუხადეს კონფერენციის ყველა მონაწილეს ბატონი ტარიელის გულთბილი გახსენებისთვის და დაფასებისთვის. იყო ცრემლიანი გახსენებები, უდროოდ განშორების ტკივილი, სევდა და მომავლის იმედიანი მზერა, რომ ბატონი ტარიელის დაწყებულ საქმეებს გააგრძელებენ მისი ნამოწაფარნი, კოლეგები, მეგობრები, ვინც ასევე ამ კონფერენციის მონაწილენი გახლდათ.

კონფერენციამ იმუშავა ოთხ სექციად: **ენათმეცნიერების** (ხელმძღვანელი პროფესორი **მერაბ ბერიძე**); **ლიტერატურათმცოდნეობის** (ხელმძღვანელი პროფესორი **ნესტან სულავა**); **ისტორიის, ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის** (ხელმძღვანელი პროფესორი **ნიკოლოზ ახალკაცი**); **განათლების** (ხელმძღვანელი პროფესორი **ირმა ქურდაძე**). ოთხივე სექციაში 32 სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგინეს მომხსენებლებმა.

შემაჯამებელ სხდომაზე აღინიშნა, რომ მოხსენებები სხვადასხვა მიმართულებით იყო ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო. კონფერენციის მუშაობა შეფასდა დადებითად.

მაია ქუქჩიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენცია

22 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია გაიმართა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სექციაში თემები წარადგინა სამმა პედაგოგმა: **ნინო ერიძემ** (ასისტენტ-პროფესორი), **ლერი ნოზაძემ** (ასოცირებული პროფესორი), **ლელა წითაშვილმა** (ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში, ასოცირებული პროფესორი).

სტუდენტთაგან თემები წარმოადგინეს: **მარიამ გოგოლაძემ** (ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის II კურსი), **მერუჟან კილოიანმა, ჰრანტ მურადიანმა, აზატ ფარმანიანმა** (ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის II კურსი), **ირაკლი ხაჩიძემ, ვლადიმერ მურვანიძემ** (ბიზნეს-ინფორმატიკის I კურსი).

სტუდენტების მიერ წარმოდგენილი თემები იყო საინტერესო, მოიცავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებს: პროგრამირება, ვებ-დიზაინი, ვებ-აპლიკაციები, სისტემური აპლიკაციები. ყველა მათგანში ჩანდა სტუდენტების მიერ პრაქტიკულად შესრულებული სამუშაო, სამუშაოს ანალიზი, სიახლე, პრობლემის გადაჭრის მათეული გზები. ყველა ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა და რამდენიმე მათგანის დამუშავება და გატანა გადაწყდა დაანონსებულ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ტრადიციული რესპუბლიკური კონფერენციების გაგრძელებად მოიაზრება.

ლელა წითაშვილი
ასოცირებული პროფესორი

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა კონფერენცია

3 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა კონფერენცია ჩატარდა, რომელიც მიძღვნილი იყო პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნისადმი. კონფერენცია ონლაინ რეჟიმში „MOODLE-ის" პლატფორმაზე, ორ განყოფილებად: **„ენისა და ლიტერატურის"** და **„განათლების"** სექციებად მიმდინარეობდა. შესავალ ნაწილში სტუდენტებს მიესალმა: რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **გულიკო ბექაური,** პროფესორი **ნესტან სულავა** და ასოცირებული პროფესორი **მარეხ ნათენაძე.** გაიხსენეს პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე და ისაუბრეს მის ღვაწლზე უნივერსიტეტისა და ქვეყნის ცხოვრებაში და აღნიშნეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კონფერენციების დღე სასწავლო წლის შეჯამებისათვის.

ენისა და ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელები პროფესორები **ნესტან სულავა** და **გულნარა ჯანოვა** გახლდნენ. მომხსენებლები თორმეტი თემით წარდგნენ. მათგან ნაწილი ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევითი, ნაწილი ქართული და ინგლისური ენების, ქართული და სომხური ენების გრამატიკული მსგავსებებით და განსხვავებებით წარდგა.

განათლების სექციას ასოცირებული პროფესორები **გულიკო ბექაური** და **მარეხ ნათენაძე** ხელმძღვანელობდნენ. სექციაში ათ მომხსენებელს მოუსმინეს. თემები განათლების სისტემაში დანერგილი მეთოდის განვითარებას, ახალი საინტერესო მეთოდების დანერგვასა და დღევანდელი პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების განვითარების პროცესებს ეხებოდა.

კონფერენციის დასკვნით ნაწილში პროფესორებმა ისაუბრეს მომხსენებელთა განეულ შრომაზე, ჯანსაღი კრიტიკით შეაფასეს და განიხილეს მათი ნამუშევრები. დამწყებ მეცნერებს უსურვეს მომავალში წარმატება სამეცნიერო საქმიანობაში.

ანა კორშია
კორესპონდენტი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია

24 ივნისს, გაიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, moodle-ს პროგრამაში. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკუტეტის დეკანი, პროფესორი **გიორგი ბუცხრიკიძე,** პროფესორი **თინა გელაშვილი,** პროფესორი **როინ თათეშვილი,** ასოცირებული პროფესორი **ნანა ჯღარკავა.**

კონფერენცია მიმდინარეობდა ერთ სექციად. სექციის მოდერატორები იყვნენ: პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე და ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 18 მოხსენება, მათ შორის, 4 დოქტორანტის ნაშრომი. წარმოდგენილი თემატიკა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. მოიცავდა სამცხე-ჯავახეთის მხარის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, პანდემიის ნეგატიურ ზეგავლენას ეროვნულ ეკონომიკაზე. თითოეულმა ნაშრომმა გამოიწვია დიდი ინტერესი და გაიმართა დებატები.

ნანა ჯღარკავა
ასოცირებული პროფესორი

ინფორმაცია

● **10 ივნისს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში „დასაქმების ფორუმი" გაიმართა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **როინ თათეშვილმა,** დასაქმების ხელშეწყობის სა-

ხელმწიფო სააგენტოს დირექტორმა **ნინო ველთაურმა,** სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ** და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გურამ მელიქიძემ**. ღონისძიების მოდერატორი გახლდათ CENN-ის პროექტის მენეჯერი **მარიამ ხერგიანი.**

ფორუმზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულმა 50 კომპანიამ 200-მდე ვაკანსია წარმოადგინა. ვაკანსიები ძირითადად ეხება ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ჟურნალისტიკა, აკადემიური სფერო, საბანკო სექტორი, ჰორეკა სექტორი (რესტორნები, კაფე-ბარები და სასტუმროები), არჩევნების მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია (თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია), ადმინისტრაციული საქმე და სტაჟირების შესაძლებლობა უნივერსიტეტში.

ფორუმში 300-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი ჩაერთო, რომლებმაც უშუალო კომუნიკაცია დაამყარეს პოტენციურ დამსაქმებლებთან და გაჩნდა რეალური დასაქმების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, დასაქმების მაძიებლებს შესაძლებლობა მიეცათ, გადაეღოთ CV-სთვის პროფესიონალური ფოტო.

ფორუმის ორგანიზატორია CENN პროექტის „EU4Youth: სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისათვის" ფარგლებში. ფორუმის თანაორგანიზატორები არიან: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო საგენტო (SESA), დემოკრატიული ჩართულობის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციისა (UNAG) და შვედეთის გაეროს ასოციაციის თანამშრომლობით. ფორუმი ჩატარდა სივ/სიდას (Civ/Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

● ახალციხეში World Vision საქართველოს ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის (SKYE) ორი კლუბის დახურვის ღონისძიება გაიმართა.

ახალციხის ახალგაზრდული კლუბი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით, ხოლო ადიგენის კლუბი – ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით.

შემაჯამელ შეხვედრას დაესწრო ადიგენისა და ახალციხის მერიის წარმომადგენლები და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ღონისძიებაზე ახალგაზრდებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია განხორციელებული პროექტებისა და ინიციატივების შესახებ.

პროექტის ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობისათვის მადლობის სიგელები გადაეცათ პარტნორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ასევე კლუბის ლიდერებს.

წარმატებული თანამშრომლობისთვის მადლობის სიგელით დაჯილდოვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

SKYE კლუბების აქტიური მხარდაჭერისთვის მადლობის სიგელი გადაეცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესორ როინ თათეშვილს.

World Vision საქართველო ევროკავშირის მხარდაჭერით EU4YOUTH პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „კომპეტენციები დასაქმებისათვის".

პროექტის მიზანია ახალგაზრდებში დასაქმების უნარიანობის ზრდა.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია ახალგაზრდების კომპეტენციების ამაღლება, რომლის ფარგლებშიც შექმნილია SKYE კლუბები.

ინფორმაციები
უნივერსიტეტის facebook-ის
გვერდიდან



გამოვიდა პროფესორ **ნატო ყრუაშვილის** წიგნი **ალიონზ (შიო) ბათმანაშვილი.** წიგნი სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის წინამძღვრის ალიონზ ბათმანაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს და მისი დაბადებიდან 135 წლის იუბილეს ეძღვნება.

აი, რას წერს ავტორი:

ის ერთ-ერთი იმათთაგანია, ვის მოღვაწეობას ქართველი საზოგადოება არ იცნობს. მთელი სიცოცხლე უცხოეთის ცის ქვეშ გაატარა, სტამბოლის ქართულ სავანეში. ბოლოს კი საბჭოურმა რეჟიმმა იმსხვერპლა.

ადამიანს თუ ერთხელ მაინც მოუწევს სტამბოლში ქართული სავანის ნახვა და იქ დაცული მასალების გაცნობა, მათზე ფიქრს ვეღარასოდეს შეწყვეტს... ქართული სავანე სტამბოლში საუკუნეზე მეტხანს არსებობდა. იქ მოღვაწე ყველა პიროვნება იყო სამშობლოსათვის შეწირული. ერთ-ერთი მათგანია ალიონზ ბათმანაშვილი.

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი ნინო დობორჯგინიძე.

ქალბატონი ნინოს სახით უნივერსიტეტმა დაკარგა ღირსეული, საქმის ერთგული და პროფესიონალი კოლეგა. მისი ხსოვნა დარჩება სტუდენტთა არაერთი თაობის მეხსიერებაში.

უნივერსიტეტის პროფესურა, სტუდენტობა და ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ქალბატონო ნინო, უსათნოესი სული იხედებოდა თქვენი დიდრონი, ნათელი თვალებიდან. ხელოვნებასთან ზიარება ეტყობოდა თქვენს დამოკიდებულებებს საქმესთან, ადამიანებთან, სტუდენტებთან, კოლეგებთან...

თქვენთან დაშორებით გამოწვეულმა დიდმა ტკივილმა მოიცვა უნივერსიტეტი. ბოლო დღეებში სიცოცხლისთვის უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულს ყველაზე მეტად რომ გიჭირდათ, სულგანაბული ვიყავით მიყურადებული თქვენს სუსტ გულისცემას... ხავსივით ვეჭიდებოდით ინფორმაციას თქვენი ჯანმრთელობის მცირე გაუმჯობესების შესახებ!

თქვენთან ერთად დავმარცხდით ვერაგ ვირუსთან ომში. დავმარცხდით მაშინ, როცა ყველაზე მეტად დავიჯერეთ გამარჯვების.

როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა, მინდა საჯაროდ გადაგიხადოთ მადლობა სტუდენტების სასიკეთოდ ნაფიქრი თითოეული წუთისთვის, უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ გაკეთებული საქმისთვის, სიკეთისთვის, მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის...

გემშვიდობებით! ანდერძივით ვიტოვებთ უნივერსიტეტის გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ინტერვიუდან თქვენს უმნიშვნელოვანეს გზავნილს, რომ ამქვეყნად მთავარი სიყვარულია.

მაკა გერიძე, რექტორი

●●●

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ჭეშმარიტად გამორჩეული თანამშრომელი– ნინო დობორჯგინიძე, რომლის განვლილი ცხოვრება სამაგალითოა ერთგულებით, პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, მეგობრობით და სხვა ადამიანური, უკეთილშობილესი თვისებებით.

ცრემლით, დარდით, უდიდესი მოუშუშებელი ტკივილით ვწერთ ნინო დობორჯგინიძის გახსენებას.

ნინო, ჩვენო უსაყვარლესო და აწ უკვე მარადისობაში გადასულო ქალბატონო, ამ სტრიქონებში ვერ ჩავტევთ იმ მწუხარებასა და ელდას, რაც შენ დაგვიტოვე. სიცოცხლით სავსე, უსაზღვროდ თბილი და ხალისიანი იყავი. ყველას მოსიყვარულემ, 52 წელი ლამაზად იცხოვრე და მწარე მოგონებად დარჩი თანამშრომლების და ახლობლების გულში. დააკლდი ყველას, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს. სადაც იმუშავე, ყველგან გამორჩეული კვალი დატოვე. შენი ცხოვრების საუკეთესო წლები კი მაინც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეალიე. უსაზღვროდ გიყვარდა უნივერსიტეტი, მეორე ოჯახად მიგაჩნდა.

არ გვჯერა, რომ აღარ მოხვალ სამსახურში, განუმეორებელი ხალასი ღიმილით და შეძახილით არ შემოაღებ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების კაბინეტის კარებს, სათითაოდ არ მოგვიკითხავ და... ჩაუჯდები საქმეს.

გჯეროდეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებს, და არა მხოლოდ მათ, ყოველთვის ემახსოვრები და მოგვენატრები.

ვერიკო მოდებაძე
საზოგადოებასთან ურთიეთობის სამსახურის უფროსი

●●●

მეხი გავარდა... ნინო აღარ არისო...ნი, ნინიკო... არ მჯერა, არა...

ამდენ წარმატებას მიაღწიე, ოცნება აიხდინე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამშრომლობის გარდა, პედაგოგიც გახდი. მიკვირდა, ურთულეს საგანს შეეჭიდა-მეთქი. ხელოვნების სპეციალისტები, მოქმედი პედაგოგები ვერ ახერხებდნენ პირველივე გასვლაზე მასწავლებლის გამოცდის ჩაბარებას. შენ ეს შეძელი.

შენ შეძელი უკარგესი დედა ყოფილიყავი. ნი, შენ შეძელი უმაგრესი მეგობარი ყოფილიყავი. მიხაროდა შენს კაბინეტში შემოსვლა. რამდენს ვმსჯელობდით საგანმანათლებლო საკითხებზე. რამდენი სპექტაკლი, რამდენი შეხვედრა, რამდენი ერთადყოფნის დღე იყო.

რა დამავიწყებს შენი ხელმძღვანელობით და სტუდენტების მონაწილეობით ჩატარებულ საღამოებს! ტირიან სტუდენტებიც. შენ შეძელი მათი სიყვარული მოგეპოვებინა...

„ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი“, – ასე თქვა, ნი, გოდერძი ჩოხელმა. შენი მოთხრობის სათაური კარგი დედობის, კარგი მეგობრობის, კარგი ადამიანობის და კიდევ ბევრი კარგი სიტყვის სინთეზია, რომელსაც ასე მალე ჰქონდა დასასრული. დაიხურა შენი წიგნი... მჯერა, ახალი ისტორია შენს შესახებ სამოთხეში გაიხსნება....

ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ნატანჯო მეგობარო.

ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა შენი გაცნობის და შენთან მეგობრობის შესაძლებლობა მომცა.

ლიკა ზაზაშვილი
ჟურნალისტი

●●●

როგორ ვერ ვეგეუბი უშენობას, ნი. ვერ ვიჯერებ, მიჭირს გააზრება, რომ შენ ველარ განახავთ, მტკიცა უშენობა... ყველა დეტალს ვიხსენებ – როგორ მირეკავდი, როგორ მეფერებოდი, როგორ დავდიოდით ერთად, ყველა ნიუანსი მახსენდება შენი, ჩემო ტკბილო, თბილო და ლამაზო მეგობარო.

შენმა სიკვდილმა მეგობრის დაკარგვის დიდი ტკივილი განგვაცდევინა. არ ვიცი, რა დავწერო შენზე, როგორ დავწერო... მიჭირს შენი წარსულში მოხსენება, მიჭირს, რომ ამ რეალობით ვწერ შენზე. არ მინდა, ბანალური იყოს ჩემი სიტყვები; ვწერ იმას, რაც გულიდან მოდის, მარტივად, ლამაზად, თბილად და ტკბილად, ისეთი, როგორიც იყავი შენ – თბილი და ტკბილი. შენს მოგონებას დავარქვი სახელი – „თბილი და ტკბილი“

თეა თათენაშვილი
ხარისხის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

●●●

გედისწერაა ეს კორონა კაცობრიობისთვის. ვერაგი და მოულოდნელი ღვთის რისხვა ... ვერ ვეგუები აზრს, რომ ღიმილიანი და კეთილი ნინო აღარ გვყავს... სალმიანი, ასე დამრჩება მეხსიერებაში. ჰო, სალმიანი, მშვიდობას გკითხავდა, მოგიკითხავდა, კი არ მოგიგდებდა სალამს წინასწარდაყენებული ღიმილით ან უღიმილოდ. მე რასაც ვიგონებ, სულ სხვაა – ის სითბო და სიყვარული, რასაც ნინო ასხივებდა, თავად ბევრსაფიქრელიანი და ცხოვრებას შეჭიდებული, ბევრს არ ძალუძს გამოხატოს. ერთმანეთს ვურეკავდით, ვგებულობდით მის ამბავს, ერთად შევიკარით, რაღაცნაირად...

თითოეულის მოფერება მოგვინდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნინო ამ ვერაგ ვირუსს ებრძოდა. ჩვენ ერთხმად ვლოცულობდით მისთვის და ერთმანეთს ვამხნევებდით. მაინც გვქონდა იმედი, რომელიც ნელ-ნელა ქრებოდა და მაინც ბჟუტავდა ბოლო დღემდე, ბოლო წუთამდე...

გაზეთის ინტერვიუში წერს – მინდა ისე დამიმახსოვრონ, როგორიც ვარო. მართლაც დაგვამახსოვრა თავი პროფესიონალ, კეთილ და სრულიად უკონფლიქტო ადამიანად... მასთან თანამშრომლობა უადვილესი იყო... ყოველთვის მხარში მდგომი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პოეზიას ეხებოდა. პოეტური სულის ადამიანებს უჭირთ სიძნელეების დაძლევა... ღმერთო, ნათელი გაიმეტე მისთვის, რაკი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას მოწყვიტე!

ყველას მწუხარებას ვიზიარებ, წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებ მის ოჯახს, შვილებს, რომელთა მომავალს დაუღლეელად აგებდა... მის მომავალ შვილიშვილს, რომელსაც თბილი და მზრუნველი ბებო დააკლდება... ყველა თანამშრომელს, რომლებიც ახლაც და მერეც ყოველდღე ვიგრძნობთ მის დანაკლისს.

ვიზიარებ ყველა სტუდენტის მწუხარებასაც. არ მავიწყდება პოეზიის საღამოები და შეხვედრები... გემოვნებით, პროფესიონალურად და ინტელექტით შერჩეული ღონისძიებები... მონაწილეებს არა მარტო პროფესიონალურ რჩევებს აძლევდა და ასწავლიდა, მშობლიურ მზრუნველობასაც არ აკლებდა და დაფოფინებდა.

ესაა შემთხვევა, როდესაც სიტყვებს ძალა აღარ აქვთ... ნინო, ნათელი შენს სულს....

ლალი გერიძე
ასოცირებული პროფესორი

●●●

აღარ შემოაღებ ჩვენი ოთახის კარებს? აღარ შემოგვაფრქვევ შენს ნათელ ღიმილს? აღარ მოგვიკითხავ, აღარ მოგვიყვები, აღარ გვიამბობ საინტერესო ამბებს?..

აღარ!.. აღარ!..

რატომ თქვი ჩვენი გაზეთისთვის ჩაწერილ ინტერვიუში – მინდა, დამიმახსოვრონ, როგორც ადამიანი, რომელსაც უყვარდაო?

„დამიმახსოვრონო...“ ახლა რატომ ვუბრუნდები შენს ნათქვამს სხვაგვარად?

ასე ძლიერ რომ გვიყვარხარ, როგორ შეგატოვოთ მეხსიერებას?

პირველად აღმოხდა ჩემს სულს ღრიალი მეგობრის გამო...

გესმის ეს ხმები, ჩემო მშვენიერო და რომანტიკოსო მეგობარო?..

ეს ვინ ყოფილხარ!..

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით...
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,
დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა...
ღრუბლებს გაჰყვა... სად ვეძებო, სადა?”

მარინე ზედელაშვილი
გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორი

●●●

ნინო, შენს არყოფნაზე ფიქრს ყოველთვის იმით ვიწყებ, რომ შენ უსათუოდ ცოცხალი უნდა იყო! უნდა გეცოცხლა შენი ოჯახისთვის, ჩვენთვის და განსაკუთრებით მარიამისთვის, რომელსაც ახლა განსაკუთრებით სჭირდები. იცი? მენატრები, შენზე მოგონებებს მუდმივად ვატრიალებ გონებაში. არ მინდა, რომელიმე დამავიწყდეს, რადგან ამდენი წლის თანამშრომლობის პერიოდში უამრავი კარგი მოსაგონებელი დამიტოვე. მე შენ გიცნობდი, როგორც კარგ მეგობარს, კოლეგას, დედას და მეუღლეს! დიახ, გიცნობდი და თან ძალიან კარგად ! სულ ჩემს გულში იქნები, ნინო!

თამუნა აბულაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი

●●●

არ მინდა დავიჯერო... ნუთუ ასეთი ხანმოკლეა ეს ცხოვრება?! მუდამ პოზიტიური იყავით, მუდამ გვერდში მდგომი, ჩემი დიდი გულშემატკივარი... მეუბნებოდით, რომ ძალიან ძლიერი უნდა ვყოფილიყავი... გული მტკივა... ვუსამძიმრებ ოჯახს და გამძლეობას ვუსურვებ. რთულია, წარმოვიდგინო ცხოვრება უთქვენოდ...

ეს ის დღე იყო, იტალიაში რომ მოვდიოდი. უნივერსიტეტის კარებთან მიმაცილეთ, გზა დამილოცეთ ცრემლიანი თვალებით... ახლა მე მდის ცრემლი უწყვეტ ნაკადად... ნუთუ, ვეღარ შევხვდებით? ვერ ვიჯერებ, ისე მიყვარხართ და მენატრებით... ძალიან მეტკინა გული, ძალიან...

მარიამ ხარაიშვილი
კურსდამთავრებული

●●●

როგორ მტკივა, როგორ მტკივა თქვენი გარდაცვალება, ქალბატონო ნინო. თქვენ ხომ სიცოცხლით სავსე და მებრძოლი ადამიანი იყავით, რამდენი ღონისძიება, რამდენი აქტივობა მახსოვს თქვენი ორგანიზებით ჩვენს უნივერსიტეტში. მეც არაერთ მათგანში მიმიღია მონაწილეობა და ესეც თქვენი დამსახურებით...

თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით ჩემი შემოქმედებითი უნარის განვითარებაში. მადლობა, ქალბატონო ნინო, იმ ღვაწლისთვის, რაც გაიღეთ. უფალმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

ოტია ზედგინიძე
კურსდამთავრებული

მათ შეძლეს პოეზიით სულის გათბობა

ლექტორისა და სტუდენტების ექსპრომტად დაწერილი ლექსი

სემესტრის დასასრულს, როდესაც დაწყებითი განათლების მეორე კურსმა ბატონ **ვახტანგ ინაურთან** ლიტერატურის ისტორიის ბოლო ლექცია დავასრულეთ, რამდენიმე წუთში ლექტორისგან ჯგუფი ვიღებთ შეტყობინებას ლექსის სახით; ლექსს ლექსით პასუხობს და აგრძელებს **მახარე ობოლაძე**, და ბოლოს, მათ ექსპრომტად დაწერილ ლექსის ფინალს **თაკო მაისურაძე** უერთდება და ახლა იგი უძღვნის და აგრძელებს ლექსს თავისი პოეტური სტრიქონებით.

ასე შეიქმნა ლექტორისა და სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით შესანიშნავი ლექსი, რომელიც მინდა თქვენც გაგიზიაროთ. ამ ლექსში და მოქმედებაში იმდენი სითბო და სიყვარულია, რომ თითოეულ ჩვენგანს გაულამაზა და გაუფერადა დღე. მათ შეძლეს პოეზიით სულის გათბობა.

●

დრო სწრაფად გარბის, დრო სწრაფად
გარბის,
და ალბათ, ასე ივლის და ივლის,
ვეღარ გაარჩევ მარტსა და აპრილს,
ვეღარ გაარჩევ მაისს და ივლისს.

(ვახტანგ ინაური)

●

აგვისტო ისევ შეცვლის ყველაფერს,
გავედევნებით წვიმის ჩვენ ლანდებს,
და ოქტომბერი მთელს არემარეს
ყვითელ ფერებში გააფერადებს.

(მახარე ობოლაძე)

●

და ისევ მოვა დრო საამური,
დრო სიყვარულის, რომელიც გვათბობს,
მოგონებებში შენ მოხვალ, გნატრობ,
და კვლავ იწვიმებს, როგორც არასდროს...

(თაკო მაისურაძე)

– ვამაყობ თქვენით, ჩემო ცქრიალა სტუდენტებო, ერთი მაგალითი მოგეცით და უცებ გადმოიფრქვა თქვენი პოეტური ნიჭი და მაღალი გემოვნება. კარგები რომ იყავით, ვიცოდი, მაგრამ ახლა გამოჩნდა, რომ საუკეთესოები ყოფილხართ. დიდი მადლობა; მიხარია, ასეთი მაღალი აზროვნების დონე რომ გაქვთ! – გვითხრა ბატონმა ვახტანგმა და სტუდენტებს კიდევ უფრო დიდი სიხარული მოგვგვარა, ლიტერატურასაც გვაზიარა, მისეული გამჭრიახობით იმედი ჩაგვისახა, სინათლისკენ კიდევ ერთხელ გვიბიძგა და სამომავლოდ შემოგვთავაზა: შეკრიბეთ ლექსები ფაკულტეტზე და წიგნად გამოვცეთ. ადრეც გამოვეცით წიგნი „ახალციხის სტუდენტური ლირიკა”, შეგვიძლია გავიმეოროთ.

ჩვენ აუცილებლად გავიმეორებთ; სტუდენტთა ლექსებმა უნდა იხილონ სინათლე და გამომზეურდნენ მკითხველთა საზოგადოებაში. ჩვენ ისევ გავერთიანდებით ლიტერატურის სიყვარულით.

მოამზადა
იზა იანვარაშვილმა

„ნაკვალევი, ჩოქელსაც ამოვყვები“

„სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადე, გამოივლი, გზად დაგხვდება.“ არ ვიცი, რამდენად დაგხვდათ გავლილ გზაზე, არა ია-ვარდით მოფენილ სავალზე თქვენი გაცემული სიკეთე, ან რამდენად გეტკინათ გული არდანახულ მადლზე, მაგრამ რაც თქვენს მოსწავლეებს, თანამოქალაქეებს ახსოვთ და დღესაც კვალად აჩნია ასპინძას, ისიც კმარა თქვენს მოსაგონრად.

ბატონ ნიკოლოზ დიასამიძეს ვწერ ამ სიტყვებს, ჩვენს კოლია მასწავლებელს, ასპინძის სკოლის დირექტორს და ბევრი ახალგაზრდის გზაზე დამყენებელს. ვიცი, ბევრი ჩემი თანატოლი, შემდეგი ან წინა თაობის მოსწავლეები გაიზიარებენ ჩემს ნათქვამს.

ამჟამად არ ვცხოვრობ ასპინძაში. დედასთან სტუმრად ჩამოსულს პირველი ასპინძის შემოსასვლელში გაშენებული ფიჭვის ხელოვნური ტყე შემოგეგებება ხოლმე და ყოველ ჯერზე ვაპირებ დავწერო ბატონი ნიკოლოზის შორსმხედველურ და პატრიოტულ ბევრ წამოწყებაზე. მახსოვს, სატყეო მეურნეობასთან ურთიერთთანამშრომლობით როგორ გვასწავლიდა მშობლიური კუთხის ბუნებაზე ზრუნვას. მე, პირადად, გამარჯვებულივით ვბრუნდებოდი ამგვარი „შაბათობებიდან“, რადგან მას თან ახლდა საქართველოს ისტორიის მძიმე დღეების, ჩვენი მხარის ტყეების გადაწვის, ომებისა და მიწისძვრების შესახებ საფუძვლიანი ინფორმაცია და უშუალოდ მისი თანხლება ამ, ვითომ ჩვეულებრივ, ღონისძიებაზე.

როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ, უნივერსიტეტის სტუდენტების თანამონაწილეობით, ჩვენს სკოლასთან არსებული ეკლესია აღდგა და გაიხსნა, ყველა იქ მყოფი ყოფილი მოსწავლე ერთხმად აღიარებდა კოლია მასწავლებლის დამსახურებას ამ ეკლესიის დაფარვა-შენახვაში. ჩვენ ვიცოდით, რომ ღობის იქით, რომელიც თურმე ნანგრევებს მალავდა, არ უნდა გადავსულიყავით და მორჩა! არ შეიძლებოდა! ბიჭებმა მოიტანეს ერთხელ კლასში ამბავი (მოწევა დაიწყეს და იქ იმალებოდნენ) ნანგრევებიაო და ყველა დაგვაინტერესეს. გადასვლას ვინ გაბედავდა, მაგრამ სხვადასხვა ამბებს კი ვთხზავდით. სკოლაში კედელს ვეკროდით, როდესაც გაივლიდა-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ მკაცრი, სამართლიანი ადამიანი იყო და ყველას გვქონდა რიდი.

ერთი მასწავლებელი გვყავდა, ომის მონაწილე და დღესაც პატივისცემით ვიხსენებთ ყველა, ისეთი ადამიანი იყო. ბავშვობას დავაბრალო თუ ჯგუფურ ონავრობას, გაკვეთილზე ხელს ვუშლიდით ხოლმე. ერთხელ დირექტორსაც მიმართა ჩვენი საქციელის გამო. დაგვიბარა დირექტორმა კაბინეტში, გვესაუბრა სათითაოდ. ყველას ჩვენი მშობლის პროფესიის მიხედვით მოგვიყვანა მაგალითი. მოკლედ, ამ ადამიანში დაგვანახა პიროვნება, რომელმაც ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის თავი არ დაზოგა... არავითარი ხმის აწევა, არავითარი სასჯელი, ეს იყო სხვადასხვა ასაკის მქონე მეგობრების საუბარი. წამოვედით ჩაფიქრებული მეც, ჩემი თანატოლებიც. ეს დღე იყო და გოგი მასწავლებლის გაკვეთილზე ჩქამი არ ისმოდა. ერთხელ ჩვენს საქციელზე გულიც კი აუჩუყდა, ისე „მოვთვინიერდით“.

ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო. სამწუხაროდ, ბევრს ეხსომება პრივილეგირებული ოჯახის შვილების სტატუსი ასპინძის სკოლაში. პატარა რაიონი იყო და ვერ უვლიდნენ გვერდს ასეთ რამეებს. მაგრამ არც ერთი ბეჯითი მოსწავლე არ იჩაგრებოდა, არავინ არ გიკარგავდა შრომას და ერთეული შემთხვევები რა მოსატანია. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ კოლია მასწავლებლის შვილები – უბეჯითესები და უნიჭიერესები, სწავლის გარდა, არაფრით არ გამოირჩეოდნენ სხვა მოსწავლეებიდან, არც ჩაცმით, არც პრივილეგიებით; ვფიქრობ, ძალიან დიდ მოთხოვნებსაც კი უყენებდა შვილებს. ყველა კომუნიკაბელური და სადა იყო ადამიანებთან ურთიერთობაში. მამის მკაცრი ხელი მათ უფრო ეტყობოდათ, ვიდრე ჩვენ, მის მოსწავლეებს.

ახალი დამთავრებული მქონდა სკოლა, რუსთაველზე შემხვდა კოლია მასწავლებელი. ვინც მიცნობს, იცის, რომ არ გამოვირჩეოდი ჩაცმის ან სამკაულების სიყვარულით, მაგრამ ერთი 5 მანეთიანი სამი ცისფერი თვლით შემკობილი მოგრძო ბეჭედი (ე.წ. „ჩეკანკის“) მაინც მეკეთა. სად წამეღო ხელი, არ ვიცოდი, ისე მეხათრებოდა ჩემი „უკვე გაზრდა“ და არამოსწავლეობა. დიდი იმედი გამოთქვა და წარმატებები მისურვა. იმ წელს ერთი ქულა დამაკლდა და მეორე წელს ვაბარებდი. ამჟამად უკვე უცხო ენათა ინსტიტუტში, ე.წ „ლიმიტიც“ მაქვს. მოხდა ისე, რომ სპეციალობაში მაღალი ნიშანი ვერ მივიღე და ისტორიის გამოცდაზე გასვლა აღარ მინდოდა. ისტორია იმ წელს პირველად ბარდებოდა წერილობით. გადავბრუნდი კედლისკენ და საშინელ დეპრესიაში ვარ. დედა გავიდა ქალაქში, ხილი მომიტანა და მეუბნება: კოლია შემხვდა, დიასამიძე – „მე ლალისგან ხუთს თუ არა, ოთხს მაინც ველოდებიო“. გადმოვბრუნდი... წამოვდექი... „დე, იცი რა მიკვირს? მარტო უახლეს ისტორიას მასწავლიდა და საიდან ჰგონია, რომ კარგად ვიცი ისტორია?“ – ვიკითხე, მერე დავჯექი, გავათენე ორი ღამე კიდევ და მივიღე ოთხიანი. მოვდივართ პასუხის გაგების შემდეგ და: „არ დავეძებ მოვეწყობი თუ არა, კოლიას იმედი ხომ გავამართლე-მეთქი“ – ხმამაღლა წამოვიძახე. აუტყდა დედაჩემს სიცილი: სად ვნახე, გოგო, ამ აგვისტოში კოლია დიასამიძე თბილისში...

ეს კიდევ სხვა საქმეა, რომ დედაჩემმა იცოდა ჩემი პასუხიმგებლობის ამბავი, მაგრამ ის, რომ ჩვენ ყველას კოლია მასწავლებლის ნდობისა და იმედის გამართლება მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა – ეს რეალობაა.

ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ერთად მოგვიწია ტოლოშის სკოლაში მუშაობა – მე, დამწყები მასწავლებელი, ის კი ახალი დირექტორი იყო. ორივე ერთად გავდიოდით სოფელთან და კოლექტივთან ერთგვარ გამოცდას ინტეგრირებისათვის. იქ ის ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. მეც მალე მიმიღეს. ერთად მგზავრობისა თუ ცალკე საუბრებისას პედაგოგობის, წესიერი ხელმძღვანელის მაგალითს მაძლევდა. მთელი ცხოვრება გამყვება გამოცდილება, რომ მოსწავლესთან და ყველასთან უნდა ვიყო ისეთი, როგორც მასწავლებელს შეეფერება. არასდროს არ დაწევდა დონეს, რაც სტატუსით ეკუთვნოდა, ღირსეულად ხვდებოდა წარმატებასაც და წინააღმდეგობებსაც. არასდროს არ გამოდიოდა იმ წარმოდგენიდან, რაც მის მიმართ მქონდა გონებაში ჩაბეჭდილი.

ტოლოშში მუშაობის დროს წამოიწყო კაკლის სანერგის მოწყობა და მოსწავლეებს მოთხოვა სხვადასხვა ჯიშის კაკლების მოტანა. დავრგეთ. ასეთ საუბარს ვიხსენებ: „კოლიაჯან, შენ გგონია, გააჩერებენ? მოიპარავენ ნერგებს“ – უთხრა სასწავლო ნაწილის გამგემ. „მერე, სად წაიღებენ, დათიკო?“ „თავიანთსა დარგავენ, სად.“ „მერე ჩვენ რა გვინდა? – შეუბრუნა კითხვა კოლია მასწავლებელმა – მეც ის მინდა, რომ მესხეთში მესხური კაკლები გამრავლდეს, თუკი დარგავენ და მოუვლიან, რა სჯობს. აბა, სკოლის ეზოში კაკლის ტყე არ ივარგებს. შემდეგი ნაბიჯი ნერგების დარიგება იქნება“. აი, ასეთ ადამიანთან მიწევდა მუშაობა და ეს იყო საუკეთესო მაგალითი და გამოცდილება ჩემთვის.

ბოლოს წისქვილში მიმავალს შევხვდი; განმიმარტა, რას იზამ, ცხოვრება შრომით ფასდებაო. მერე მელაპარაკა, სახლის მშენებლობაზე კომფორტულად ვაწყობო. ეზოს სილამაზეზე და იმაზე ვისაუბრეთ, რაც წლების შემდეგ გახდა საქართველოს ტურიზმისთვის პრობლემა – ინფრასტრუქტურასა და ჰიგიენაზე, რაც შემოსულ სტუმრებს უპირველეს პრობლემად ექცეოდათ ხოლმე. მომიკითხა, მისურვა კეთილი გზა; მეც მადლობა მოვახსენე სკოლის წლებისა და ერთად მოღვაწეობის გამო და ბედნიერი ვარ, რომ სიცოცხლეში გამოვხატე მისდამი მადლიერება. დარწმუნებული ვარ, ეს წერილი ბევრ ყოფილ თანასკოლელს აღუძრავს საინტერესო მოგონებებს. ყველას ვუსურვებ ასეთი და მსგავსი კვალის დატოვებას ამქვეყნად. მე კი ბოლომდე გავყვები ჩემი მასწავლებლების ნაკვალევს, რამდენადაც შევძლებ.

ლალი გერიძე
ასოცირებული პროფესორი

გრაფი ჩესტერფილდი
წერილები ვაჟიშვილს

ჩემო საყვარელო ბიჭო,

შენ უკვე საკმარისად მოიზარდე საიმისოდ, რომ შეგნების თვალით შეხედო ყოველივე იმას, რასაც სწავლობ. არც კი იცი, რამდენ დროსა და ძალას დაზოგავ, თუკი საქმეს შეგნებით მოეკიდები. თუ იმ იმედებს არ გაამართლებ, რასაც შენზე ამყარებენ, დაჰკარგავ შენს კარგ სახელს – ეს კი კეთილშობილი კაცისთვის ყველაზე დიდი დამცირებაა.

ყოველ კაცს აქვს საკუთარი მისწრაფება და პატივმოყვარეობა და, დიახაც, ნაწყენი რჩება, თუ მოლოდინი გაუცრუვდა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბრიყვს პატივმოყვარებაც ბრიყვული აქვს და არასწორად მიმართული. გონიერთა პატივმოყვარეობა კი კანონიერიცაა და საქებარიც. გონიერი ბიჭი მუდამ ისწრაფვის არა მარტო თავის ტოლებს, თავისზე უფროსებსაც აჯობოს როგორც ცოდნით, ისე ზნეობით. მას ეამაყება, რომ მუდამ სიმართლეს ლაპარაკობს, რომ ადამიანები უყვარს და მათ თანაუგრძნობს. ამ თვისებებს კი ვერსად იყიდი, იმათ მხოლოდ ნათელი გონება და სიკეთით სავსე გული შეგძენს. ასეთი პატივმოყვარეობა მოსდგამდათ სპარტანელებსა და რომაელებს და იმიტომ გაითქვეს სახელი ყველა ხალხზე მეტად. იმედი მაქვს, შენც ასეთივე გექნება.



ჩემო კარგო ბიჭო, ყოველ კაცს, დიახაც, უნდა შესწევდეს იმის უნარი, სხვებს მოაწონოს თავი, მაგრამ ამ უნარის შეძენა არც ისე იული საქმეა. არა მგონია, საამისოდ გარკვეული წეს-კანონები არსებობდეს, ასე რომ საკუთარი ჭკუა და დაკვირვება უფრო მეტს გვიკარნახებს, ვიდრე ჩემი რჩევა და დარიგება.

მოექეცი სხვებს ისე, როგორც შენ თვითონ გინდა მოგექცნენ, იმაზე უტყუარი ხერხი მე სხვა არც მეგულება. კარგად დაუკვირდი, სხვებში რა მოგწონს და ადვილი შესაძლებელია, შენშიაც იგივე მოეწონოს სხვებს. შენი სულისკვეთება იმ საზოგადოებაში გამეფებული სულისკვეთებაა, სადაც იმყოფები; ნუ შეეცდები საკუთარი მოახვიო თავს. არ უნდა შეაწყინო ხალხს თავი რაიმე ამბის მოყოლით. შენ თუ გულითა და სულით მოწადინებული ხარ კეთილგანწყობა და მეგობრობა მოიპოვო ამა თუ იმ ხალხისა, შეეცადე გამოიცნო, რა არის ყველაზე დიდი ღირსება ან ყველაზე სუსტი მხარე მათი ხასიათისა.

შენ სულ ადვილად შეგიძლია გამოიცნო, ყოველ კაცს პატივმოყვარეობის რა ჭია ღრღნის, უკეთუ მიაქცევ ყურადღებას, რაზე უფრო უყვარს ლაპარაკი. მცდარად არ გამიგო და არ იფიქრო, თითქოს სულმდაბალ, სამარცხვინო ლიქნობას გირჩევ. თავშიც არ გაივლო, ვისიმე ბიწიერება ან ბოროტი საქმენი შეაქო. მაგრამ ამ ქვეყნად კაცი ვერ იცხოვრებს, თუ გულმოწყალებას არ გამოიჩენს სხვების პატარა ცოდვებისა და სინამდვილეში უწყინარ, თუმცა ხანდახან სასაცილო პატივმოყვარეობის მიმართ. თუკი მამაკაცს უნდა, უფრო ჭკვიანად მიიჩნიონ, ვიდრე სინამდვილეში არის, ქალს კი უფრო ლამაზად, ეს მცდარი წარმოდგენა ორივესთვის სასიკეთოა, ირგვლივ მყოფთათვის კი უვნებელი. პატარა ყურადღება სხვა უფრო დიდ სამსახურზე მეტად აამებს ხოლმე ადამიანის თავმოყვარეობას, ვინაიდან აფიქრებინებს, ლამის მთელი შენი ზრუნვა და მონდომება მარტოოდენ იმისკენაა მიმართული, რაიმეთი ასიამოვნო.

აი, პატარა საიდუმლოებანი, რაც უთუოდ უნდა იცოდეს მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილმა კაცმა. ნეტამც შენს ასაკში უკეთ მცოდნოდა ეს ამბები, მაშინ ჩემი ცხოვრების ორმოცდაცამეტ წელს აღარ შევალევდი ამ ცოდნის შეძენას, ამიტომაც წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ჩემი არც ისე მცირე გამოცდილებით ახლავე ისარგებლებ და შენდა სასიკეთოდ მოიხმარ მას. მშვიდობით!..



ჩვენი საგანძური



ფოტოები ტაო-კლარჯეთშია გადაღებული, იქ, სადაც VIII-IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობდა. ფოტოების ავტორი გახლავთ ფერმწერ-რესტავრატორი ზვიად ბერიძე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში, წლების განმავლობაში, ხელოვნების ისტორიას უკითხავდა სტუდენტებს. 2003 წელს მან, სულიერ მამებთან – ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსთან, მეუფე სტეფანესთან და ვარძიის წინამძღვარ, არქიმანდრიტ ანტონთან ერთად, პატრიარქის კურთხევით, იმოგზაურა და მოილოცა სავანეები: ოშკი, ხანძთა, პარხალი, ხახული, ბანა, იშხანი, ოპიზა, დოლისყანა, ოთხთა და ჩამოგვიტანა შესანიშნავი ფოტოები, რომლებიც მრავალ სამხატვრო გალერეაში გამოფენის შემდეგ, სამუზეუმო ექსპონატებად იქცა.





რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge